

1949

საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს პრინციპები  
და განკარგულებათა

# პრინციპები

ფილიფაზი მეთერთმათი

№ 11—12

Сборник приказов и распоряжений  
Министерства Просвещения Груз. ССР

1949 ვ.

შ 0 6 1 1 6 0

F1093

1. ბრძანება № 8724, ნორჩ ტექნიკოსთა სადფურების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ . . . . .	83.
2. დადგენილება—1949—წი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშაღების შედეგების შესახებ . . . . .	2
3. მიმართვა—აფხაზეთისა და აჭარის სსრ განათლების 'მინისტრებს, სამსრბო-ოსეთის ა/ი სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში მასწავლებელთა ჩარიცხვის წესის შესახებ . . . . .	5
4. მშრომელთა დეპუტატების თეთრიწყაროს რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს თეთრი წყაროს რაიონის სკოლების მუშაობის შედეგების შესახებ . . . . .	14
5. მშრომელთა დეპუტატების ზემოსვანეთის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ზემოსვანეთის რაიონის სკოლების მუშაობის შედეგების შესახებ . . . . .	16
6. ბრძანება № 3978, კაჭრეთის რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ . . . . .	24
7. Указания о планировании работы школ и учителя . . . . .	44
	59



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3724

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 22 ოქტომბერი.

ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ  
ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობე-  
სების მიზნით.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში საწრეო მუშაობა წარმოებულ  
იქნეს საათობრივი ანაზღაურების წესით სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიის დადგენილე-  
ბის შესაბამისად.

2. დაწესდეს ჯგუფების შემდეგი ზღვრული რაოდენობა:

1. ქ. თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სად-  
გურში 16

2. ქ. თბილისის სტალინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სად-  
გურში 13

3. ქ. თბილისის ბერიას რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სად-  
გურში 15

4. ქ. თბილისის ორჯონიქიძის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სად-  
გურში 13

5. ქ. თბილისის ქიროვის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სად-  
გურში 15

6. ქ. თბილისის 26 კომისრიის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სად-  
გურში 15

7. ქ. სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში	18
--	----

8. ქ. ბათუმის	"	"	18
---------------	---	---	----

9. ქ. სტალინირის	"	"	13
------------------	---	---	----

10. ქ. ქუთაისის	"	"	18
-----------------	---	---	----

11. გორის	"	"	13
-----------	---	---	----

12. ქ. ფოთის	"	"	12
--------------	---	---	----

13. ქ. ქიათურის	"	"	12
-----------------	---	---	----

14. ახალქილაქის	"	"	6
-----------------	---	---	---

15. ახალციხის	"	"	9
---------------	---	---	---

16. ბორჯომის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
17. გურჯაანის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
18. დუშეთის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
19. ზუგდიდის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
20. თელავის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
21. ქასპის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
22. მახარაძის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
23. ზესტაფონის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
24. სამტრედიის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
25. სიღნაღის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
26. ოჩამჩირის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
27. ხაშურის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	12
28. ტყიბულის	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	9
29. წყალტუბოს	"	"	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	6

3. სასწავლო პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივობა კვირაში თითოეულ ჯგუფში განისაზღვროს ოთხი აკადემიური საათით;

4. ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჩამოყალიბდეს შემდეგი სახის წრეები: ელექტროტექნიკური, ავიასამოდელო, ნორჩრადიომოყვარულთა, სატრანსპორტო, ფოტომოყვარულთა და ქიმიის.

განებარტოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების დირექტორებს, რომ მათ უფლება აქვთ ადგილობრივი პირობებისა და მატერიალური ბაზის, შესაბამისად მსურველ მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით, განსაზღვრონ ჯგუფების რაოდენობა ცალკე წრეებში, მაგრამ ისე, რომ ჯგუფების საერთო რაოდენობა არ აღმატებოდეს ამ ბრძანების მეორე მუხლით დაწესებულ რაოდენობას.

5. წრეების ხელმძღვანელ-მასწავლებელთა ხელფასის ანაზღაურება იწარმოოს მასწავლებელთა განათლების ცენტრისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მიხედვით, ხელფასის ანაზღაურების შესახებ სსრ კავშირის სახეობისაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 11 აგვისტოს № 875 დადგენილების შესაბამისად, საულენთ ფასების ნაწილობრივ მომატებასთან დაკავშირებით ხელფასის განაკვეთების გადიდების გათვალისწინებით, ხელფასის განაკვეთის იმ კლასისათვის დაწესებული ოდენობით, რომელსაც უწევს მომასაზღრეობას.

6. იმ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, რომელთაც ჰყავთ შტატში წრის ხელმძღვანელები, ლაბორაციები, ინსტრუქტორები და მასობრივი მომუშავეები, დაწესდეს, რომ აღნიშნულმა მუშაკებმა ამ ბრძანების მეორე მუხლით განსაზღვრული ჯგუფების საერთო

რაოდენობილან საშტატო განაკვეთის ანგარიშში დამატებითი ანაზღაურების გარეშე უხელმძღვანელობა:



ქ. თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში 12 ჯგუფს, კიროვის რაიონის 6/ტ სადგურში—8-ს, ბერიას რაიონის 6/ტ სადგურში—8-ს, 26 კომისრიის რაიონის 6/ტ სადგურში—8-ს, ქ. ბათუმის 6/ტ სადგურში—3-ს, ქ. სოხუმის—12-ს, ქ. ქუთაისის—4-ს სტალინირიის—8-ს, ქ. ფოთის—4-ს, ქ. ჭიათურის—4-ს, ახალციხის—4-ს, ბორჯომის—4-ს, ხაშურის-3-ს, გორის—8-ს, ზესტაფონის—4-ს, ოჩამჩირის—6-ს, ტყიბულის—4-ს, წყალტუბოს—3-ს, ღუშეთის—2-ს და თელავის—4-ს;

7. ნება დაერთოს ახალქალაქის, გურჯაანის, ზუგდიდის, კასპის, გაბარაძის, სიღნაღის, სამტრედიისა და ქ. თბილისის სტალინის და ორჯონიქიძის რაიონების ახლადგახსნილ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს საათობრივი ანაზღაურება აწარმოონ მიმდინარე წელს ფაქტიურად ჩატარებული მუშაობის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ამ ბრძანების მეორე და მესამე მუხლებით დაწესებული ჯგუფებისა და საათების რაოდენობისა.

ეპართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. კუპრაშვილი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგისა და  
 დაწყებითი და საზოალო სკოლების გუბაკთა პროფესიონის  
 ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სსლობისა

1939 წლის 4 ოქტომბერი

1949-50 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საგამოვლო დაწესებუ-  
 ლებადის მზადების გენერაციის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქარ-  
 თველოს სსრ დაწყებითი და საზოალო სკოლების მუშაკთა პროფესი-  
 შირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ  
 ახალი, 1949-50 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო  
 დაწესებულებების მომზადების შესახებ საქართველოს სსრ მინის-  
 ტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის  
 1949 წლის 16 მაისის დადგენილების საფუძველზე ადგილობრივ  
 პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო ინიციატივითა და  
 ოპერატიული ხელმძღვანელობით მთელს ჩესპუბლიკაში დროულად  
 გაიშალა გაცხოველებული მუშაობა ახალი სასწავლო წლისათვის  
 სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადე-  
 ბის უზრუნველსაყოფად.

მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმით 1 სექტემბრისათვის  
 უნდა შექმნა გეგმით 4277 სასკოლო შენობა (მათ შორის კაპიტა-  
 ლურად—364, მიმდინარე—3913) 31 საბავშვო სახლისა და 239 სა-  
 ბავშვო ბაღის შენობა. ამ სამუშაოების შესასრულებლად მთავრობის  
 მიერ ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 21.281.000 მანეთი.

გეგმით უნდა დამზადებულიყო 12.000 ახალი მერხი, 2.000 ახა-  
 ლი დაფა, 4.000 სკამი და სხვა. პირველ სექტემბრისათვის ჩეს-  
 პუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში სკოლების შენობების კაპი-  
 ტალური და მიმდინარე ჩემონტი ძირითადად დამთავრდა.

გადაქარბებით შესრულდა მერხების, დაფების, სკამებისა და სხვა  
 ინვენტარის დამზადების გეგმა. აგრეთვე 1 სექტემბრისათვის შეკი-  
 თებული იქნა 50.000-ზე მეტი მერხი, 5.000-ზე მეტი დაფა და  
 18.000-ზე მეტი სკამი, მაგიდა და კარადა.

პირველ სექტემბრისათვის შიზიდული იქნა სკოლებში 88.600 უშაბზე შეტრი შეშა (შეშის მიზიდვის გეგმა შესრულდა 80%).

აბაშის, ოელავის და ხულოს რაიონების კოლმეურნეების პატ-რაიონტულმა თაოსნობამ, სკოლებისადმი საუკეთესო მასობრივი დახმარების გაწევისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, მთელს რესპუბლიკაში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. სკოლის ახალ სასწავლო წლისათვის მზადებაში დახმარება ნამდვილ სახალხო მოძრაობად გადაიქცა.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონების კოლმეურნეებმა, წარმოება-დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა იყიდეს ვალდებულებანი და აქტიურად ჩაებრნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების საუკეთესოდ მომზადებისათვის.

ხულოს, ქედას, ლენინგრადის, კასპიის, აბაშის, თელავის, გეგე-ჭიორის, ორგონიკიძის, ჩოხატაურის, ქ. ქუთაისის, წყალტუბოს, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების კოლმეურნეებმა მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. სასკოლო სამუშაოების შესასრულებლად გამომვყეს მუშახელი, გამწევი ძალა, გამონახეს საშენი მასალა, შექმნეს ხელოსანთა ბრიგადები და უფასო შრომითი მონაწილეობით ახალი სასწავლო წლისათვის მრავალი სკოლა საუკეთესოდ მოამზადეს.

ამას გარდა 24 რაიონში კოლმეურნეების ინიციატივით წელს აშენდა 48 ახალი სასკოლო შენობა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის. იგრეთვე მიშენებული იქნა 116 სასკოლო ოთახი. აშენებული იქნა მასწავლებელთა საცხოვრებლად 29 ერთბინიანი შენობა.

ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს სკოლებს საშეფო ორგანიზაციებმა. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის სკოლებს „საქაიმ“, „შაბტმშენმა“, „ხრამგესმშენმა“, „აგტორემონტქარხანამ“, „საორთქმავლო დეპომ“ და სარემონტო კანტორამ, მრავალმა ქარხანამ და სამეურნეო ორგანიზაციებმა გაუკეთეს მაღალხარისხოვანი რემონტი და სკოლების კეთილმოწყობისათვის დახარჯეს 1.158.000 მანეთი.

ქ. ქუთაისის „სავტომობილო ქარხანამ“, „მანქანათმშენებელმა ქარხანამ“, საკონსერვო ქარხანამ და აბრეშუმის კომბინატმა სა-შენ მასალითა და ფულადი, სახსრებით დაეხმარენ სკოლებს. მათი მონაწილეობით შეკეთებული იქნა ქ. ქუთაისის ყველა სასკოლო შენობა. სკოლებში მოწესრიგდა გამთბობი მოწყობილობანი, ელექ-

ტროგაცვანილობა, წყალსადენის მიღები და კანალიზაცია, მოზი-  
დული იქნა შეშა და ნახშირი.

ქ. ბათუმის „პურტრესტმა“, „აჭარეობკაშირმა“, და სხვებში  
შეფობა იკისრეს ქ. ბათუმის სკოლებზე და ნაკისრი ვალდებული-  
ბანი პირნათლად შეასრულეს.

ქ. ფოთის სკოლებს უდიდესი დახმარება გაუწიეს კოლებიდმშენმა  
და „ნაგსადგურის“ სამართველომ. ასევე დახმარება გაუწიეს სკო-  
ლებს სოხუმის, ოჩამირის, გაგრის, ბორჯომის, ლენინგორის, გო-  
რისა და სხვა ქალაქების წარმოება-დაწესებულებებმა.

1949—50 სასწავლო წელს მასწავლებელთა კადრების ხარისხობ-  
რივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბი-  
ჯები იქნა გადადგმული. საქართველოს დაწყებით, რეაწლიან და სა-  
შუალო სკოლებში წელს ახლად დაინიშნა 2.500-ზე მეტი სათანადო  
კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათგან 1350 სახელმწიფო  
უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრე-  
ბულია. მაგრამ პედაგოგიური დარგში ძირითად ნაკლად მაინც  
რჩება ის, რომ ყველაგან რუსულ ენასა და ლიტერატურას არ ასწავ-  
ლიან ამ საგნის სათანადოდ მცოდნე მასწავლებლები. წელსაც მათი  
შეცვლა მთლიანად მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით შეუძ-  
ლებელი შეიქნა ასეთების უყოლობის გამო.

ჯერ კიდევ აკლია სკოლებს უცხო ენების მასწავლებლები.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯო-  
ბესდა სახელმძღვანელო წიგნების გამოცემის საქმე. 1949 წლის ბო-  
ლოსათვის გამოცემა 105 სახელწოდების ქართული სახელმძღვანე-  
ლო წიგნები 3.100.000 ტირაჟით, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე 1945  
წელს და ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1948 წელს.

პირველ სექტემბრისათვის გამოიცა 84 სახელწოდების ქართული  
სახელმძღვანელო წიგნი 2.336.900 ეგზემპლარის რაოდენობით.  
საქმიან რაოდენობით შემოიჩიდა მომებე რესპუბლიკებიდან სახელ-  
მძღვანელო წიგნები რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკო-  
ლებისათვის. პირველ სექტემბრისათვის რუსული სკოლებისათვის  
შემოიჩიდულია 67 სახელწოდების წიგნი 415. 541 ეგზემპლ. რა-  
ოდენობით. სომხური სკოლებისათვის 38 სახელწოდების 161. 120  
ეგზ. რაოდენობით, აზერბაიჯანული სკოლებისათვის 42 სახელწოდე-  
ბის 44.120 ეგზ. რაოდენობით.

სახელმძღვანელო წიგნების თავისუფლად გაყიდვამ დიდად შე-  
უწყო ხელი წიგნების მოსწავლეებამდე დაყვანის საქმეს. წიგნით  
მოვაჭრე ორგანიზაციებს სკოლებში მიაქვთ საჭირო წიგნები და

ორგანიზებულად აწვდიან მოსწავლებს. გასულ წლებთან შედა  
რებით გაუმჯობესდა აგრეთვე მოსწავლის რეეულების დამზადება-  
ბის საქმე, მაგრამ წელს ამ დარგში დამაკმაყოფილებელი მდგრა-  
ძეობა არ არის. წელს გეგმით უნდა დამზადებულიყო 27.500.000  
ცალი რეეული. პირველ სექტემბრისათვის დამზადდა 14.066.100  
ცალი რეეული, გეგმა შესრულებულია 51,1%. გეგმის შესრულება-  
ში ჩამორჩენა გამოწვეულია სათანადო ქალალდის უქონლობით.  
სხვა სასწავლო ნივთების (მელანი, კალამი, ფანქარი, კალმისტარი,  
სანელნე, ცარცი) სკოლები უზრუნველყოფილნი არიან.

საგრძნობლად გაუმჯობესებულია წელს სკოლების სასწავლო  
კაბინეტებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების თვალსაჩინო ხელსაწყო-  
იარაღებითა და საჭირო ლიტერატურით შევსების საქმე.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლების სასწავლო კაბინეტები მიიღებენ  
3.150.000 მანეთის ხელსაწყო-იარაღებს, ხოლო სასკოლო ბიბ-  
ლიოთეკები 1.200.000 მანეთის სხვადასხვა სახის ლიტერატურას.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანის  
შესაბამისად, ჩვენს რესპუბლიკაში 1949—50 სასწავლო წლიდან  
ტარდება საყოველთაო-საგალდებულო სწავლება ქალაქად საშუალო  
სკოლისა და სოფლად რეაწლიანი სკოლის ფარგლებში. ამ ამოცანის  
განსახორციელებლად დასახული იქნა სათანადო ღონისძიებანი.  
ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ცალკეულ  
რაიონებსა და ქალაქებში დაზუსტებული იქნა მე-5 კლასებში ჩასა-  
ბმელ მოსწავლეთა რაოდენობა (რაც დაახლოებით შეადგენს 80.000)  
ასევე დაზუსტდა ქალაქად მე-9 კლასებში ჩასაბმელ მოსწავლეთა  
რიცხვი (რაც შეადგენს 8.000) და მიღებული იქნა საჭირო ზომები  
პირველ სექტემბრიდან მათი სკოლებში ჩასაბმელად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და  
საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფ-  
კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. იმის გამო, რომ მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების  
განათლების განყოფილებათა გამგეებმა საქართველოს სსრ მი-  
ნისტროთ საბჭოსა და საქართველოს კ 3 (ბ) ცენტრალური კომიტე-  
ტის ბიუროს 1949 წლის 16 მაისის დადგენილების საფუძველზე  
აღილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანე-  
ლობით პასუხისმგებლობითა და მონდომებით მოეკიდნენ ახალი,  
1949—50 სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს და მნიშვნელოვან  
წარმატებებს მიაღწიეს, გამოცხადოთ მაღლობა:

ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ბ. ბარა-  
მიძეს; ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს

ამს. გ. დეკანონიძეს, აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. გ. დანელიას, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის; ამს. ჩაგანაცავას; ქ. თბილისის ბერიას რაიონის განათლების გრანტოლების გამგებს ამს. ვ. სიჭინავას; ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ბ. მინჯიას, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ა. კაჭკაჭიშვილს, გეგეშქორის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. გ. ჩიქოვანს, გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ი. ნასყიდაშვილს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ა. ანტონოვას, გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ბ. ჭოლარიას, გაგრის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. შ. ხუნტუას, ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. გ. ძაგნიძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. პ. გოგლიშვილს, თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. მ. სიმონიშვილს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ი. ალიხანიძის; თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ა. ნადაშვილს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ლაზარიშვილს; კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ვ. ალექსიძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. დავითაშვილს; ქ. თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს გ. გიორგაძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. გ. კვალიაშვილს; ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. გ. ჩხაიძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ბისეიშვილს; ლენინგრადის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ჯორევს, ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ქ. ქებაძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. რ. არუთინოვას; ქ. თბილისის ორჯონივიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. პ. ლოგუას, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ლ. გაბუნიას; ქ. თბილისის 26 კომისრების რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ვ. გიორგაძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ს. ფეიქრიშვილს; ორჯონივიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. გ. კიქნაძეს, ონის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. ჯაფარიძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. ქ. ჯაფარიძეს; სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. გ. კანდელაქს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს. შ. პაპავას; ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგებს ამს. აკ. კოპალაძეს, ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს ამს. გ. შავგულიძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარებელის ამს.

ამს. ქ. ხაზარაძეს; ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. გ. კალანდაძეს, კავშირის რაიონის თავმჯდომარეს ამს. წ. დოლიძეს, ჩხოროცხუს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. ნ. გოძეგიას; წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. პაპასკირს, წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. ვ. ჩოგოვაძეს, წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. ვ. ხოლოგაძეს, წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. ვ. კავაჩიას, ხულოს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. გ. ხოზჩევანიძეს, ქ. ფოთის განათლების განყოფილების გამგეს ამს. ი. წოჭონავას.

2. აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებებმა საჭირო ოპტიმული ხელმძღვანელობა ვერ გაუწიოს სკოლების სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს, სათანადოდ ვერ ჩაუდგნენ სათავეში მშრომელი მოსახლეობის თაოსნობას, დადგენილ ვადებში არ შეასრულეს სამინისტროს დავალებანი და არ მიაწოდეს მას ინფორმაცია ანგარიშები. ამგვარ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ამბროლაურის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. მაჭავარიანი), ასპინძის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. ქავშინაძე), ახალქალაქის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. კარპეტიანი), გორის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. ჯაფიაშვილი), ზუგდიდის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. შ. სიჭინავა), მცხეთის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. ვ. მაცაბერიძე), ქარელის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. ალავერდაშვილი), ყაზბეგის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. ვ. ხახლიშვილი), ყვარელის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. მ. ბართაია), ჩხარის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. აკ. ულენტი), ცაგერის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. სვანიძე), წალკის რაიონში (განყოფილების გამგე ამს. ტერსენოვი), წითელწყაროს რაიონში (განყოფილების გამგე ამს. ვ. დოლენჯიშვილი).

3. აღინიშნოს წარმოება-დაწესებულებების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოლმეურნებების ღვაწლი და დახმარება სკოლების ახალ სასწავლო წლისათვის მომზადების საქმეში, რისთვისაც სკოლის მუშაკების სახელით გამოცხადოთ მაღლობა:

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ამს. ნ. კეცხოველს, „საქ. № შახტენის“ დირექტორს ამს. მარიახინს, „საქართველოს ჩაის“ დირექტორს ამს. მ. სარჯველაძეს, „ქიმდაკონკრესის“ დირექტორს ამს. ცეირიშვილს, კერამიკული კომპინატის, მართველს ამს. მელაძეს“, „ხრამგესმშენის“ მმართველს ამს. ვ. ჭანევეტაძეს, „გლავტეხსნაბნეფტის“ მმართველს ამს. ნახაპეტოვს, ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორს ამს. გ. კიკნაძეს, „საქ.

სართავსატრიკოტაულ კომბინატიის „დირექტორს ამხ. თ. გოგოლაძეს მაუდეკამვოლის ფაბრიკის დირექტორს ამხ. ნ. თუშიშვილს, ინსტრუ-  
მენტალური ქარხნის დირექტორს ამხ. ხითარიშვილს, ამხ. ხევდუ-  
ლიანს, ლანჩხუთის რაიონის—ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის დირექ-  
ტორს ამხ. დ. ცინკაბაძეს, ახალციხის რაიონის ზახტის ხელმძღვა-  
ნელობას (მეტრეველსა და ჯაფარიძეს), კასპის რაიონის კასპის  
ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. სავინსკის, ქ. ბათუმის „პურ-  
ტრესტის“ მმართველს ამხ. თ. მალრაძეს, „გემთშემქეთებელი  
ქარხნის“ დირექტორს ამხ. კაჩანინს, „აქარსარეწაო კავშირის“  
დირექტორს ამხ. ბ. ხალვაშს, „აქარკონკავშირის“ დირექტორს  
მეგრელიძეს, მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორს ამხ. მგალობ-  
ლიშვილს, ქ. ფოთის „კოლხიდმშენის“ მმართველს ამხ. ა. გაბუნიას,  
ნავთსადგურის უფროსს ამხ. ქ. რეკვაგას, ტყიბულის რაიონის  
„შახტმშენტრესტის“ მმართველს ამხ. შ. ცირეკიძეს, ლენინის სახე-  
ლობის ზახტის უფროს ამხ. ქ. თათარაშვილს, ქ. ქუთაისის ავტოჭარ-  
ხნის მშენებლობის უფროსს ამხ. ს. ოდიშარიას, სამთომანქანათმშე-  
ნებელ ქარხნის დირექტორს ამხ. ივანოვს, საკონსერვო ქარხნის  
დირექტორს ამხ. პ. მაჭარაძეს, აბრეშუმის კომბინატიის დირექ-  
ტორს—ამხ. მიქელაძეს; ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის დირექ-  
ტორს ამხ. ქ. გოგიტიძეს, სამტრედიის რაიონის კულტშის სარე-  
წაო არტელების თავმჯდომარეებს ამხ. ამხ. მ. მირილაშვილს და  
ის. მირილაშვილს, აფხაზეთის ასსრ ტრესტის „სუხუმშენის“ მმარ-  
თველს ამხ. ლ. გვათუას, შავი ზღვის რეკინგზის მშენებლობის უფ-  
როს ამხ. ცატუროვს, სანატორიუმ „საქართველოს ჩაის“ დირექ-  
ტორს ამხ. წილოსანს.

აღინიშნოს შემდეგი კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების  
ენერგიული მუშაობა:

ლანჩხუთის რაიონის—გულიანის ხოზე დიასის სახ. კოლმე-  
ურნეობა, ჯურულუკეთის სასოფლო საბჭო; შუხუთის საბჭოთა კავში-  
რის გმირების სახ. კოლმეურნეობა, ლანჩხუთის სტალინის სახე-  
ლობის კოლმეურნეობა, თეთრი წყაროს რაიონის პრიუტის კოლ-  
მეურნეობა, ლოუბნის კოლმეურნეობა, ლიანის კოლმეურნეობა.

ახალციხის რაიონის—წოხტევის სასოფლო საბჭო, საძელის  
სასოფლო საბჭო, წყალთბილის სასოფლო საბჭო, ხეოთის სასოფ-  
ლო საბჭო;

ლენინგრადის რაიონის—ლარგვისის სასოფლო საბჭო, ჩურთი-  
ნის სასოფლო საბჭო, კარჩხის სასოფლო საბჭო, საფერშეთის სა-  
სოფლო საბჭო;

კასპიის რაიონის—მალრიანთკარის კოლმეურნეობა, გორაკის  
კოლმეურნეობა;

ა ბ ა ში ის რაიონის—ქოლობნის სასოფლო საბჭო, მარნის კოლ-  
მეურნეობა, სამიქაოს კოლმეურნეობა;

ხ უ ლო ს რაიონის—დროფნისის კოლმეურნეობა, რიყეთის კოლ-  
მეურნეობა, უჩამ ბაშის კოლმეურნეობა, სოფ. ტუჩაძეების კოლ-  
მეურნეობა, ოლადაურის კოლმეურნეობა;

ქ ე დი ს რაიონის—ქედის მე-18 პარტყრილობის სახელობის  
კოლმეურნეობა, სოფ. ცხემნის ტელმანის სახ. კოლმეურნეობა,  
გუნდაურის კოლმეურნეობა, ნამონასტრების კოლმეურნეობა;

წ უ ლუ კი ძი ს რაიონის—ქვედა კინჩხის კოლმეურნეობა;

ვ ა ნი ს რაიონის—ქვედა-ვანის სასოფლო საბჭო; კუშუბოურის  
სასოფლო საბჭო.

ტ ყი ბუ ლი ს რაიონის—ძმუისის კოლმეურნეობა; გურნის  
კოლმეურნეობა, კურსების კოლმეურნეობა;

ო რ ჯონი კი ძი ს რაიონის—თეთრიწყაროს კოლმეურნეობა; ნა-  
დაბურის-კოლმეურნეობა, ხედის კოლმეურნეობა, ვარძიას კოლმე-  
ურნეობა, ხევის კოლმეურნეობა, უბისის კოლმეურნეობა, ხუნევის  
კოლმეურნეობა, გოლათუბნის კოლმეურნეობა, ვახანის კოლმეურ-  
ნეობა;

გ ე გე ჭ კ ე რი ს რაიონის—გაჭედილის სასოფლო საბჭო, ინჩხუ-  
რის სასოფლო საბჭო, პატარა ინჩხურის სასოფლო საბჭო;

ქ უ თ ა ი სი ს რაიონის—პატრიკეთის კოლმეურნეობა, ქვიტირის  
კოლმეურნეობა, დღნორისის კოლმეურნეობა;

წ ყა ლ ტ უ ბო ს რაიონის—მაღლაკის სასოფლო საბჭო, ჩუნეთის  
სასოფლო საბჭო, წყალტუბოს სასოფლო საბჭო, ქვილიშორის კოლ-  
მეურნეობა;

ჩ რ ხ ა ტ ა უ რი ს რაიონის—ბურნათის კოლმეურნეობა; ბასილე-  
თის კოლმეურნეობა, ქვემო-ერკეთის კოლმეურნეობა, წითნარის კოლ-  
მეურნეობა;

ლ ა გ ო დ ე ხი ს რაიონის—ყარსუბნის სასოფლო საბჭო, “ლენინის  
ხსოვნის” სახ. კოლმეურნეობა, „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახ.  
კოლმეურნეობა, „ხეთაგუროვის“ კოლმეურნეობა, ლელიანის სოფ-  
ლის საბჭო;

ო ნი ს რაიონის—ზეარეთის სასოფლო საბჭო;

ბ ო რ ჯო მი ს რაიონის—პატარა ახალ-დაბის სასოფლო საბჭო,  
ტაძრისის სასოფლო საბჭო.

ჩ ხ ო რ რ მ წყუ ს რაიონის—კირცხის კოლმეურნეობა, პირველი მაი  
სის სახელობის კოლმეურნეობა, მუხურის კაგანოვიჩის სახ. კოლ-  
მეურნეობა;

თ ი ა ნ ე თ ი ს რაიონის—საყარაულოს კოლმეურნეობა;

გურჯაანის რაიონის—ველისციხის სასოფლო საბჭო, ვეჯი  
ნის სასოფლო საბჭო, შრომის სასოფლო საბჭო;

წალენჯიხის რაიონის—დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობა, მიქაელის ქოთახის სახ. კოლმეურნეობა, უტუ მიქავის სახ. კოლმეურნეობა, ბერიას სახ. კოლმეურნეობა, ტელმანის სახ. კოლმეურნეობა, ორჯონიქიძის სახ. კოლმეურნეობა, მიქავის სასოფლო საბჭო, ვალის სასოფლო საბჭო;

სამტრედიის რაიონის—იანეთის კოლმეურნეობა, წინაკუთხის კოლმეურნეობა; ნაბაკევის კოლმეურნეობა, კვირიკეს კოლმეურნეობა,

დუშეთის რაიონის—ჩოხის კოლმეურნეობა, სონდისველის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობა, ჯავახიანთვარის მიქოიანის სახ. კოლმეურნეობა;

აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის—ოტობაიას „მშრომელი გლეხის“ სახ. კოლმეურნეობა;

გაგრის რაიონის —სოფ. ლესელიძის სტალინის სახ. კოლმეურნეობა, სოფ. სიხარულის ბერიას სახ. კოლმეურნეობა, სოფ. კინგისების, კინგისების სახ. კოლმეურნეობა, ბერიას სახ. საბჭოთა მეურნეობა;

სოხუმის რაიონის—სოფ. ბესლეთის ბერიას სახ. კოლმეურნეობა, სოფ. შუქურის „წითელი შუქურას“ კოლმეურნეობა;

ოჩამჩირის რაიონის —სოფ. თხინის, ლენინის სახ. კოლმეურნეობა, სოფ. ატაარი, ბერიას სახ. კოლმეურნეობა.

4. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს და კავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო შენობებისა და დგამავეჯის მოვლა-დაცვის საქმეს, აღვეთონ სკოლებში სასკოლო ნივთებისა-დმი უდიერი და უდარდელი დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლინებანი და მიაღწიონ სასწავლო წლის დამთავრებამდე სასკოლო შენობა-ქონების დაუზიანებლად შენახვას.

5. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს და კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებს სკოლებისა და ძირეული პროფორგანიზაციების მუშაობის შემოწმებისას მიაქციონ ყურადღება სასკოლო ქონების მოვლის მდგომარეობას და ამ საქმეში უბასუხისმგებლობის შემჩნევის შემთხვევაში დამნაშავის მიმართ მიიღონ ზომები.

საქართველოს სხრ განათლების

მინისტრი გ. პუპრაძე

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს.  
 სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების  
 განყოფილების გამგეს, რაიონულ და საქალაქო განა-  
 თლების განყოფილებათა გამგეებს

სსრ კაგმის მინისტრის აპარატის ასპირანტურაში  
 მარცვალებელთა ჩარიცხვის წესის შესახებ

„შვიდწლიან და საშუალო სკოლებისათვის მასწავლებლების მომ-  
 ზადების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის  
 1 თებერვლის № 426 დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის  
 მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის შემაღებისათვის ეწყობა  
 პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებისათვის მეცნიერულ-  
 პედაგოგიური კადრების მომზადება. მომზადება იწარმოებს შემდეგ  
 სპეციალობებში: ფილოსოფია, ლოგიკა, პოლიტიკონომია, ისტო-  
 რია, ლიტერატურა და ენა, გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკა და  
 ბიოლოგია.

ასპირანტურის დაკომპლექტება მოხდება სსრ კავშირის მეცნი-  
 ერებათა აკადემიაში მომზე რესპუბლიკების განათლების სამინის-  
 ტროთა მიერ მივლინებულ პირებისაგან. მივლინებულმა პირებმა  
 აკადემიაში უნდა ჩააბარონ მისალები გამოცდები, რის შემდეგ  
 ისინი ჩაირიცხებიან ასპირანტურაში და სამი წლის საასპირანტო  
 მომზადების შემდეგ გამოიგზავნებიან სათანადო განათლების სამი-  
 ნისტროთა განკარგულებაში პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინ-  
 სტიტუტებში გამოსაყენებლად.

ასპირანტურაში შემსვლელმა უნდა ჩააბაროს მისალები გამოცდები  
 თავის სპეციალურ საგანში, მარქსიზმ-ლენინიზმში და ერთეულთ  
 უცხო ენაში. ის პირები, რომლებიც გამოცდას ვერ ჩააბარებენ,  
 უკანვე გამოიგზავნებიან სათანადო სსრ განათლების სამინისტროს  
 განკარგულებაში.

გაცნობებთ რა ამას, გავალებთ:

1. უმოქლეს ხანში ჩაატაროთ საჭირო ახსნა-განმარტება მასწავ-  
 ლებელთა შორის სსრ კავშირის აკადემიის ასპირანტურის მნიშვნე-  
 ლობის შესახებ მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების  
 დარგში და შეარჩიოთ ღირსეული კანდიდატები ხსენებული აკა-  
 დემიის ასპირანტურაში გასაგზავნად;

2. ასპირანტურაში გასაგზავნ კანდიდატთა მასალები: განცხადება,  
ზეტობიოგრაფია, კალების აღრიცხვის პირადი ბარათი, უმაღლესი უნივერსიტეტის  
სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, დახასიათება, ცნობა  
ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, —თქვე-  
ნი შუამდგომლობის თანდართვით აუცილებლად წარმოდგენილი უნ-  
და იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი  
სკოლების განყოფილებაში არა უგვიანეს 15 ივლისისა.

ასპირანტურაში შემსყლელთათვის თავისუფალი ადგილების რაო-  
დენობა განსაზღვრული არ არის, ვინაიდან ასპირანტურაში მიღება  
იწარმოებს კონკურსით, მისალები გამოცდების შედეგების საფუ-  
ძველზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თქვენს მიერ გადმო-  
გზავნილ მასალებს განიხილავს და სათანადო შუამდგომლობით  
გაუგზავნის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. ასპირანტურაში  
მისალები გამოცდების ჩატარება იწარმოებს 1 სექტემბრიდან, რის  
შესახებ იმ მასწავლებლებს, რომელნიც დაშვებულნი იქნებიან გამო-  
ცდებზე საგანგებოდ ეცნობებათ.

მასწავლებელთა ფენებიდან სათანადო კანდიდატების შერჩევისა  
და მასალების დროულად წარმოდგენის მთელი პასუხისმგებლობა  
ეკისრება აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებსა  
და რაიონულ და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგებებს

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგის  
1949 წლის 3 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი 8. პუპრაძე

## გვაროველთა დეპუტატების თამარიზაროს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამზე

თამარიზაროს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განყოფილების გამზე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს მიერ თეთრიშეცაროს რაიონის სკოლების მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული გამორჩევის შედეგად წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მანგლისის, თეთრიშეცაროს, ასურეთისა და ბოგვის საშუალო და დიდი თონეთის რვაწლიან სკოლებში მეცნიერებათა სწავლების საქმისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მხრივ ერთგვარი მიღწევებია მოპოვებული.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: თ. სიმონიშვილი, ა. ჯაფარიძე, ქ. ჩხაიძე (ქართული ენა და ლიტერატურა), ტ. სალარიძე, გ. სალარიძე, გოლოვა, ყარამანოვა (რუსული ენა და ლიტერატურა), შ. ჩაჩუა, ი. აბოსტოლოვი (ისტორია) და სხვ. ისინი საფუძვლიანად ემზადებიან გაკვეთილისათვის, გაკვეთილს ატარებენ მიმზიდველად, სწორად ახდენენ შესწავლილი მასალის გამეორებას, გადასაცემ მასალას მოხდენილად იყენებენ სააღმზრდელო მიზნით და მოსწავლებს აძლევენ მკვიდრსა და საფუძვლიან ცოდნას.

დასახელებულ სკოლებში დანერგილია გეგმიანი მუშაობა, ყველა სკოლაში მასწავლებლებს აქვთ წლიური კალენდარული გეგმები, ჩამოყალიბებულია საგნობრივი კომისიები, თითოეული სკოლის საგნობრივი კომისიას აქვს სამუშაო გეგმა.

დიდი-თონეთის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლები, ბოგვის სკოლის IV კლასის, მანგლისის II და III კლასის მასწავლებლები შესაფერ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ზეპირმეტყველებისა და წერის კულტურის განვითარებას, საკმაოდ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ტექსტის კითხვაში, დასმულ კითხვებზე გამართული პასუხის გაცემაში, წერითი ნამუშევრებს ატარებენ საკმაო რაოდენობით, დროულად ასწორებენ ნამუშევრებს, მოსწავლეებს აძლევენ სწორი წერის ნიმუშებს. საფუ-

ძელიან ცოდნის ამჟღავნებენ ცალკეულ საგნებში დიდი თონეთის რვაწლიანი სკოლის VII და VIII კლასების, მანგლისის საშუალო სკოლის V კლასის და თეთრიწყაროს საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები.

სკოლებში საქმაო მუშაობაა ჩატარებული სასკოლო ასაკის ბავშვთა განთესვისა და უმიზეზოდ გაცდენებისა და გაძვეთილებზე დაგვიანების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა ზევითდასახელებული სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს ოვალსაჩინო ნაკლოვანებებს.

ა) ასურეთისა და ბოგვის საშუალო სკოლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომები არ იწვევა სისტემატურად; ასურეთის საშუალო სკოლაში მიმდინარე წლის 11 ოქტომბრამდე ჩატარებულია მხოლოდ ერთი სხდომა, ბოგვის საშუალო სკოლაში კი ორი სხდომა. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე უმთავრესად იხილება ზოგად-პედაგოგიური ხასიათის საკითხები. არ არის პრაქტიკული შემოღებული ცალკე სასწავლო დისკიპლინების სწავლების მდგომარეობის მოსმენა. ასურეთის საშუალო სკოლაში დღემდე არ განუხილავთ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის წერილი—1949.50 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ. მსგავსი მდგომარეობაა მანგლისისა და თეთრიწყაროს საშუალო სკოლებში.

ბ) სკოლებში გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი არაა შედგენილი სწორად, გაკვეთილების ცხრილში სამუშაო დღეები არ არის დატვირთული თანაბრად, ზოგ სკოლაში ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ნაცვლად წერია „ქართული“, ხშირად ფიქტურულს დათმობილი აქვს პირველი და მეორე გაკვეთილები, ხოლო ქართულ ენისა და ლიტერატურას, რუსულ ენისა და ლიტერატურას, ისტორიასა, და ფიზიკას მეტყო და მეექვსე გაკვეთილები.

გ) კლასის ხელმძღვანელების სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები ზერელედ და სკოლის სპეციფიური პირობებისა და შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად არის შეღვენილი; გეგმაში არ არის გათვალისწინებული აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის კონკრეტული საკითხები. ცალკე კლასების მოსწავლეთა ასაკის თვეისებურებათა შესაბამისად და არსებითად ცოტა რამ არის გაკვეთებული მოსწავლეებში კულტურული ჩვევების დანერგვის დარგში.

დ) ლარიბია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები. კაბინეტებისათვის ცალკე ოთახები არ არის გამოყოფილი; ბოგვის

საშუალო სკოლაში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები მოთავსებულია პატარა ოთახში. თეთრიწყაროს საშუალო სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები დირექტორის კაბინეტშია მოთავსებული, მსგავსი მღვმარეობაა მანგლისის ქართულ საშუალო და ასურეთის საშუალო სკოლებში.

ე) სკოლების უმრავლესობაში სასკოლო ბიბლიოთეკები მოუწესრიგებელია, ბიბლიოთეკები წიგნადი ფონდით ღარიბია; ბოგვის საშუალო სკოლაში 579 ცალი წიგნია, მანგლისის ქართულ საშუალო სკოლაში 458, ბევრი მათგანი ერთნაირი სახელწოდებისაა. ამ სკოლების X და XI კლასის მოსწავლეები წიგნებით არ სარგებლობენ, მათ დღემდის არცერთი წიგნი არა აქვთ შედგენილი ბიბლიოთეკიდან. სკოლებს არა აქვთ შედგენილი სკოლის გარეშე საკითხავი წიგნების სია, არ არის შთაბეჭდილების წიგნი და სხვ.

გ) ადგილი აქვს მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის შემთხვევებს: დიდი თონეთის რვაწლიან სკოლიდან განთხსილია 41 მოსწავლე, მანგლისის რუსულ საშუალო სკოლიდან 7, ბოგვის საშუალო სკოლიდან 7 და ასურეთის საშუალო სკოლიდან—5 მოსწავლე.

ი) ზოგიერთი სასწავლო დისციპლინის სწავლება არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ასურეთის საშუალო სკოლის V კლასის (მასწავლებელი ელენე ხილურელი) მოსწავლეებმა ქართულ ენაში მომზადების დაბალი დონე გამოამეღავნეს. მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი შესწავლილი მასალის დალაგებულად გადმოცემისა, ისინი სიტყვებს დამახინჯებულად წარმოთქმავნენ. მოსწავლეთა უმრავლესობა V კლასის პროგრამით გათვალისწინებულ მასალას ვერ ფლობს. მოსწავლე ჭ. გ. წერა სრულებით არ იცის.

ბოგვის საშუალო სკოლის V კლასის მასწავლებელი თინა ნიკურაძე მასალას გრამატიკიდან ზერელედ, ნაჩქარევად ხსნის, გრამატიკის სწავლებას არ უკავშირებს ლიტერატურულ მასალას, ყველდღიურ სასაუბრო ენას, რის გამო მოსწავლეებს გრამატიკის წესები გაუაზრებლად აქვთ გაზეპირებული. ზოგიერთმა მოსწავლემ ნაწარმოების ტექსტი არ იცის, ზოგი მოსწავლე ამბობს—„ნატომთვე დავი დაიხრიო აღვეთში“ (ოსმანილას თავგადასავალი).

მანგლისის რუსულ საშუალო სკოლის VII კლასში (მასწავლებელი თამარ ბერძენიშვილი) მოსწავლეების უმრავლესობამ ქართული ენა არ იცის. მოსწავლეები შესწავლილ მასალას—„ქაჯანა“—მექანიკურად ყვებიან, სიტყვების შინაარსი არ ესმით, სიტყვების მარაგი არა აქვთ. დაბალია ამ სკოლაში მოსწავლეთა წერით მეტყველების დონეც. მასწავლებლები ზერელედ ეკიდებიან მოსწავლეთა

წერითი ნაშრომების გასწორება; მე-5 კლასის მოსწავლის 6. ს. რვე-  
ულში სიტყვაში— „8 სექტემბრის“, მასწავლებელს „ი“ წაუშლია და  
დაუტოვებია „სექტემბრს“, აღნიშნული სკოლის V, VI, VII კლასებში  
მასწავლებელი არ იყენებს საპროგრამო მასალის მიხედვით საჭირო  
წერით სახეებს. ამ კლასებში წერითი მუშაობის ძირითად სახედ  
გამოყენებულია კითხვებზე პასუხის გაცემა და დაფიდან გადაწერა.  
მასწავლებელი არ ზრუნავს მოსწავლეებში დამოუკიდებელი წერი-  
თი მუშაობის ჩვევების გამომუშავებისათვის. VII კლასის მოსწავ-  
ლების წერითი ნამუშევრები (მასალა „ჩვენი ნიშას“ მოკლე ში-  
ნაარსი) ერთმანეთისაგან არის გადაწერილი.

ასურეთის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში საკლასო წერა  
ყოველდღიურად არ ტარდება. ამ სკოლის I კლასში (მასწ. მ. ღობ-  
ნაძე) წერა და კითხვა ერთდროულად არ სწარმოებს. საკლასო წე-  
რა მასწავლებელმა დაიწყო მაშინ, როცა ასო „გ“ ს აცნობდა. მანამ-  
დე გაცნობილი ასოები მოსწავლეებს არ უწერია. ამავე სკოლის  
IV კლასის მასწავლებელი გ. გოირგობიანი წერით ნამუშევრებს  
გულდასმით არ ასწორებს. მოსწავლის გ. დ. ნამუშევარში გაუსწო-  
რებელია 21 შეცდომა, ამავე მოსწავლის მეორე ნაშრომში გაუ-  
სწორებელია 14 შეცდომა. ორივე ნამუშევარი შეფასებულია  
„4“.

ზოგ სკოლაში რუსული ენის სწავლება ცუდად არის დაკარგებული.  
მანგლისის საშუალო სკოლის II და III კლასების რუსული ენის  
მასწავლებლების (კეშელაშვილი, მ. მუქიორაშვილი) წლიური კალენ-  
დარული სამუშაო გეგმები ზერელედ აქვთ შედგენილი. II და III კლა-  
სებში წლიურ კალენდარულ სამუშაო გეგმებში არ არის მოცემული  
კონკრეტულად გასაკლელი მასალა. გეგმაში უწერიათ „გავლილი  
შემოდგომის მასალას“ ზამთრის მასალის, გაზაფხულის მასალას.  
გეგმებში დაშეგბულია ენობრივი ხასიათის შეცდომები. ბოგვისა  
და თეთრიაწყაროს საშუალო სკოლების V კლასებში რუსულ ენაში  
მოსწავლეთა ცოდნა ძალზე დაბალია. მოსწავლეებს არ გააჩნია  
სიტყვათა მარაგი, ტექსტი გაუაზრებლად აქვთ გაზეპირებული. არ  
იციან გავლილი მასალა.

დიდი თონეთის რეაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა  
(მასწ. ნუკურაშვილი), არ იციან გავლილი მასალა („Лисица и вино-  
град“, „Стрекоза и муравей“, „Лисичка и кувшин“, „Спасли  
поезд“). შემოწმების დღესაც არცერთმა მოსწავლემ (ერთის გარდა)  
არ იცოდა გაკვეთილი („Случай с летчиком“).

ასურეთის საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეებს (მასწ.  
კობახიძე) არა აქვთ გამომუშავებული რუსული ასოების ცენტრალუ  
წერის ჩევევა. მასწავლებელი არ აძლევს მათ საჭირო ნიმუშებს  
სწორი წერისათვის.

ამ სკოლების რუსული ენის ზოგიერთი მასწავლებელი გულდა-  
სმით არ ასწორებს წერით ნამუშევრებს. ბოგვის საშუალო სკო-  
ლის IX—XI კლასების მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში (მასწ.  
თ. სალარიძე) გაუსწორებელია მრავალი შეცდომა. არც ერთ სკო-  
ლაში არ ტარდება რუსულ ენაში წერითი მუშაობა დადგენილი  
ნორმების მიხედვით. არ ტარდება რუსულ ენაში სავარჯიშო წერა,  
რის შედეგად საკონტროლო წერა ხშირ შემთხვევაში ტარდება მოს-  
წავლეთა წინასწარი მომზადების და საჭირო ვარჯიშის გარეშე. ასეთი  
მუშაობის შედეგია, რომ ასურეთის საშუალო სკოლის VII კლასში  
19 მოსწავლის ნამუშევრიდან რუსულ ენაში 18 ნამუშევარი შე-  
ფასებულია „1“ და „2“.

რაიონის ზოგ სკოლაში ცუდად არის დაყენებული ისტორიის  
სწავლება. დიდი-თონეთის რეფწლიანი სკოლის V კლასის მოსწავ-  
ლებებს (მასწ. სიხარულიძე) საფუძვლიანად არა აქვთ შეთვისებული  
გავლილი მასალა, მოსწავლეებმა არ იციან ვის ეწოდებოდა ფარა-  
ონი, არა აქვთ ნათელი წარმოდგენა ეგვიპტის გაერთიანების შესა-  
ხებ, არა აქვთ გამომუშავებული მასალის დალაგებით გაღმოცემის  
უნარი.

განგლიის რუსული საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა  
(მასწ. იურკინა) არ იციან სად მდებარეობს ეგვიპტე, როდის მოხდა  
იქსოსების შემოსევა, საერთოდ ისინი იჩენენ გავლილი მასალის  
უცოდინარობას. მაგ., მოსწავლეებს არა აქვთ გარკვეული წარმოდ-  
გენა მონათა და გლეხთა აჯანყების შესახებ ეგვიპტეში, არ იციან  
ძელი ეგვიპტის წყობილება და სხვ.

ასეთივე მდგომარეობაა ამავე სკოლის VI კლასში. ამ კლასის  
მოსწავლეებმა ვერ შესძლეს პელოპონესის ომების მიზეზების  
დასახელება, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ბერძნულ კულტურაზე,  
ვერ ასახელებენ ათენის დამარცხების მიზეზებს. არადამაგია-  
ფილებლად ისწავლება სამოქალაქო ისტორიას. ასურეთის საშუ-  
ალო სკოლაში (მასწ. კვაჭანტირაძე), იღნიშნული სკოლის V კლასის  
მოსწავლეებმა არ იციან ისტორიული ტერმინები—„ფარაონი“,  
„ნომი“, „ნომარხი“, ვერ ახერხებენ რუკაზე ორიენტირებას, ეგვიპ-  
ტეს მცირე აზიაში ეძებენ. არ იციან თუ როგორ მოხდა ნომების  
გაერთიანება და სხვ. ისტორიაში დაბალი ცოდნა გამოამჯდავნეს  
ს. ბოგვის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასწ.

ჯმუხაძე). შათ ცუდად იციან გავლილი შასალა, არც ერთშა შოსა წიგლებ არ იცოდა მასალა „უძველესი მონათმფლობელური სახელი მწიფოები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე“, არ იციან თუ როგორ მოხდა აღმოსავლეთ სლავთა პირველი პოლიტიკური გაერთიანება VI—VIII საუკუნეში, ვერ ერკვევიან კიდევის სამთავროს გაძლიერების მიზეზებში. ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს არ ესმით დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა მნიშვნელობა, არ იციან თუ რა ცვლილებანი მოჰყვა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ევროპის ეკონომიკაში, ვერ აღწერეს გერმანიის საერთო მდგომარეობა რეფორმაციის შინ.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა ღროულად აღმოფხვრის მიზნით აუცილებელია გატარებული იქნეს ზემდეგი ლონისძიებანი:

## I

1. სკოლის დირექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების საქმეს, დააზუსტონ მეთოდურ გაერთიანებათა და საგნობრივი კომისიების მუშაობის გეგმები, გეგმებში გაითვალისწინონ ცალკეული საგნის სწავლების გაუმჯობესების მეთოდური საკითხები და მუშაობა იმგარად წარმართონ, რომ საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მასწავლებლები და ზემუშავებული ლონისძიებანი ნამდვილად ეხმარებოდნენ მასწავლებლებს პრაქტიკულ მუშაობაში.

სკოლაში მეთოდური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული ბროშურით „მეთოდური მუშაობა სკოლაში“.

2. არსებული დებულების შესაბამისად ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები. პედასაბჭოს სამუშაო გეგმაში გაითვალისწინონ ცალკეული საგნის სწავლების გაუმჯობესების საკითხები—გაკვეთილებზე დასწრების შედეგები, მეთოდური მუშაობა სკოლაში, კლასის ხელმძღვანელის მუშაობა, შეგნებული დისკიპლინის დანერგვისა და სხვა საკითხები. საბჭოს სხდომისათვის საფუძვლიანად მოამზადონ საკითხები და დასახონ მეთოდურ-პედაგოგიურად გამართული ლონისძიებანი საგნების სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

3. განსაკუთრებული კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიონ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ელენე ხილუ-

ჩელს, თინა ნიკურაძეს, თამარ ბერძენიშვილს, რუსული ენის შეს  
წაგლებლებს — კობახიძეს, ზ. კუშელაშვილს, მ. მუქირიშვილს, ისტორიუ-  
ლის მასწავლებლებს — სიხარულიძეს, იურინას, გ. კვაჭანტიშვილების  
სისტემატური დასწრებითა და გაკვეთილისათვის მომზადების  
ხარისხის შემოწმებით, პედასაბჭოს სხდომებზე მათი მუშაობის შესა-  
ხებ საკითხის მოსმენის საფუძველზე დაუსახონ მათ კონკრეტული  
ღონისძიებანი საგნების სწავლებაში არსებული ხარვეზების გამო-  
სასწორებლად.

4. არსებითად გარდაქმნან კლასგარეშე და სკოლისგარეშე  
მუშაობა. კლასის ხელმძღვანელების გეგმები იმგვარად ააგონ, რომ  
მათში გათვალისწინებული იქნეს ოღმზრდელობითი მუშაობის კონ-  
კრეტული საკითხები, შესრულების ფორმები და სახეები და და-  
წესონ სისტემატური კონტროლი ამ გეგმების შესრულებაზე.

5. სისტემატურად და გულდასმით შეისწავლონ წერითი მუშა-  
ობის მდგომარეობა სკოლაში, საკითხი სშირიად განიხილონ პედა-  
გოგიურ საბჭოს სხდომაზე. გამოავლინონ წერითი მუშაობაში  
არსებული დეუქეტები და განათლების სამინისტროს მითითებათა  
შესაბამისად მასწავლებლებს ყოველმხრივ დაეხმარონ წერითი მეტ-  
ყველების საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

6. განსაკუთრებული უზრადლება მიაქციონ კლასგარეშე კითხვის  
ორგანიზაციის საქმეს. ცალკე კლასების მიხედვით შეადგინონ საკი-  
თხავ წიგნთა სარეკომენდაციო სიები, შეავსონ სასეკლო ბიბლიო-  
თეკები სათანადო ლიტერატურით. დაავალონ კლასის ხელმძღვანე-  
ლებასა და მასწავლებლებს ხელი შეუწყონ მოსწავლეებს კლასგარეშე  
წიგნების კითხვის საქმეში. მოაწყონ მკითხველთა შეკრებები. წაკი-  
თხული წიგნის შესახებ აზრთა გაცელა-გამოცვლა და კარგ მკი-  
თხელთა წახალისება.

7. გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენუ-  
რი თვალსაზრისით სათანადო პირობების შექმნისათვის. ყოველდღი-  
ური მეთვალყურეობა დააწესონ პირიადი ჰიგიენის დაცვაზე და  
მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები სკოლაში დადიოდნენ წესირად  
და სუფთად ჩატარები.

8. გულდასმით შეისწავლონ სკოლებიდან მოსწავლეთა ჩამოშო-  
რების მიზნები და უახლოეს დროში უზრუნველჰყონ განთესილი  
ბავშვების სკოლაში დაბრუნება.

აღკვეთონ სკოლიდან მოსწავლეების უმიზეზოდ ჩამოშორების  
შემთხვევები და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ყველა კლასში  
მოსწავლეთა კონტინგენტის წლის ბოლომდე მთლიანად შენარჩუ-  
ნებისათვის. მიიღონ ზომები გასულ წელს IV კლასის ყველა კურს-

დამთავრებულთა შე-5 კლასში ჩასაბმელად. მტკიცედ გაატარონ  
განათლების სამინისტროს მითითებანი მოსწავლეთა მოძრაობის  
აღრიცხვის შესახებ.

## II.

იმის გამო, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები—გ. დოხ-  
ნაძე, გ. გიორგობიანი; ქართული ენისა და ლიტერატურის მას-  
წავლებლები—ელენე ხიტურელი, თინა ნიკურაძე, თამარ ბერძენი-  
შვილი; რუსული ენის მასწავლებლები—კობახიძე, ზ. კეშელაშვილი,  
მ. მუქირიშვილი; ისტორიის მასწავლებლები—სიხარულიძე, იურ-  
კინა, გ. კვაჭანტირაძე, ჯმუხაძე საქმიოდ არ მუშაობენ თავისთავზე,  
ისტემატურად და გულმოდგინედ არ ემზადებიან გაკვეთილისათვის  
და მათი მოსწავლეების ცოდნა დაბალია, მათ ეძლევათ მითითება  
და მტკიცე დავალება—თავისთავზე შეუნელებელი მუშაობით, გაკვე-  
თილებისათვის ყოველდღიურად საფუძვლიანად მომზადებით,  
უზრუნველჰყონ უახლოეს დროში, არსებულ ნაკლოვანებათა გამო-  
სწორება.

## III.

ა) განათლების განყოფილების გამგემ უველა სკოლის პედაგო-  
გიურ საბჭოს სხდომაზე განიხილოს ეს მიმართვა და დასახოს  
კონკრეტული ლონისძიებანი იღნიშნული დეფექტების გამოსასწორე-  
ბლად;

ბ) მეორე მეოთხედის განმაელობაში შეისწავლოს ამ გამოკველუ-  
ვის შედეგად სკოლებისა და მასწავლებლებისადმი მიცემული მი-  
თითებების შესრულება და მოკლე ანგარიში ამის შესახებ წარ-  
მოადგინოს განათლების სამინისტროში არა უგვიანეს 1 იანვრისა.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი ვ. კუპრაშვი

## გურიაშემომართის დეპუტატების ზემოსახლის აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების განგვევე

ზემოსახლის სკოლების მუშაობის შემოწმების ზედებების შესახებ

1949 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ შემოწმებული იქნა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა ზემოსახლების რაიონის: მესტიის, ბეჩის, ხაიშის, მულახის, იფარის საშუალო და ჭუბერის, ლახამულის, ფარის, ეცერის, ლენჯერის, წვირმისა და ლატალის რეაწლიან სკოლებში.

დადასტურდა, რომ ამ სკოლებში ძირითადად დამაკმაყოფილებლად ტარდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი, სკოლები იცავენ დაწესებულ რეენისა და შინაგანაწესს.

ზემოდასახელებულ სკოლებიდან ზოგიერთში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ცალკე საგნების სწავლება. ასე, მაგალითად ხაიშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან გავლილი ლიტერატურული მასალა — ა. ყაზბეგისა და ვაჟა ფშაველას ნაწარმოებები (მასწ. ც. ჯაფარიძე); მესტიის საშუალო სკოლის V კლასის (მასწ. ლ. ჯაფარიძე) მოსწავლეები კარგად ირკვევიან წინაღადადების შინაარსობრივ აგებულებაში; ამავე სკოლის XI კლასის (მასწ. ი. მარგიანი) მოსწავლეებმა სათანადო ცოდნა გამოამულავნეს ლიტერატურის თეორიაში, კარგად გაარჩიეს ყაზბეგის „მამის მკვლელი“ და ა. შ.

დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ ბეჩის საშუალო სკოლის მოსწავლეები ქიმიაში (მასწ. ი. ხორგვანი); VIII კლასის მოსწავლეებს გავლილი მასალიდან დამაკმაყოფილებლად აქვთ შეთვისებული ნივთიერებათა ხსნადობა და მასზე ტემპერატურის გავლენა, ახერხებენ ნივთიერებათა გაწმენდის ტექნიკაში ხმარებული ზოგიერთი წესის დახასიათებას; იმავე სკოლის XI კლასის მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა, აქვთ გაზების გრამ-მოლეკულურ მოცულობაზე, იციან ავოგადროს კანონი და მისი მნიშვნელობა ქიმიური ფორმულებით და ტოლობებით გაანგარიშებისათვის.

დამაქმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ მესტიის საშუალო  
სკოლის VII კლასის მოსწავლეები ზოოლოგიაში (მასშ. ვ. მეგრენიშვილი);  
იშვილი); ქარგად იციან გეომეტრიაში შესწავლილი მასალა ხინდის  
შის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასშ. დ. შარევაძე);  
დამაქმაყოფილებლად იციან გავლილი მასალა ისტორიაში სოფ.  
ფარის 8-წლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა (მასშ. რ.  
მგელაძე) და მესტიის საშ. სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა  
(მასშ. რ. ჯაფარიძე).

ზემოსვანეთის რაიონის ზემოდასახელებული სკოლების მუშა-  
ობაში აღვილი აქვს სერიოზულ ნაკლევანებებსაც:

სკოლებში ჯერ კიდევ აქვს აღვილი განთხესვას: სასწავლო წლის  
დასაშეყისიდან მარტო ხაიშის, მესტიისა და მულახის საშუალო  
სკოლებიდან 45 მოსწავლეა განთხესილი, ასევე ფარის რვაწლიან  
სკოლიდან განთხესილია 7 მოსწავლე, ბეჩის საშუალო სკოლიდან—  
9, ჭედერის რვაწლიან სკოლიდან—8 და ლატალის რვაწლიან სკო-  
ლიდან—9 მოსწავლე. ამ სკოლებში მოუგვარებელია სკოლაში ჩა-  
რიცხულ და სკოლიდან გასულ მოსწავლეთა ოღრიცხვის საქმე, არ  
არსებობს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის რვეული, ხშირად  
მოსწავლეთა ჩარიცხვა სხვადასხვა კლასებში სათანადო დოკუმენ-  
ტების გარეშე ხდება.

არადამაქმაყოფილებელ მდგომარეობაშია სასკოლო შენობები.  
სასკოლო შენობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებისათვის  
ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 100.000 მანეთამდე დახარ-  
ჯულია, მაგრამ შეკეთების ხარისხი ძალზე დაბალია; მრავალი  
სკოლის ფანჯრებში მინები არ არის ჩასმული, მათ ნაცვლად ფი-  
ცრებია გამოყენებული და ამის შედეგად საკლასო ოთახები და-  
ბნებულია; კედლები უხარისხოდ არის შეთეთრებული; შენობის  
სახურავები შეუკეთებელია და ზოგ საკლასო ოთახში წვიმა ჩამო-  
დის (ფარის რვაწლიანი სკოლა); ბექის საშუალო სკოლას (დირე-  
ქტორი შ. ბალანჩივაძე) არა აქვს შენობაში შესასვლელი კიბე, დე-  
რეფნის ჭერი შეულესავია და ჭვედა სართულში, კიბეების ქვეშ,  
იატეკი არ არის დაგებული. ამავე დროს მიმდინარე წლის ზაფხუ-  
ლის განმავლობაში ამ სკოლის კაპიტალურ შეკეთებაზე დახარ-  
ჯულია 30000 მანეთი. ასევე, ლაბამულის 8-წლიანი სკოლის მი-  
მდინარე შეკეთებაზე დღემდე დახარჯულია 4700 მანეთი, მაგრამ  
სკოლის არც ერთ საკლასო ოთახში ფანჯრებს მინა არა აქვს და  
დერეფნის ფანჯრები ჩარჩოების უქონლობის გამო შეკედილია ფი-  
ცრებით. სკოლების შეკეთების ხარჯები უკანონოდ განაღებუ-  
ლია, შესრულებულ სამუშაოზე სათანადო აქტების შეუდგენლად.

სკოლების დიდ ნაწილში სრულებით არ ექცევა ყურადღება სა-  
სუფთავის დაცვას. ბერის, მესტიის, იფარის საშუალო და ლინი-  
მულის, ჭუბერის, ფარის, შვიმრის, ლატალის და ეცერის რვაწლი-  
ან სკოლებში საკლასო თაბახები თვეობით არ ირკება. ბერის  
საშუალო სკოლის ქვედა სართულში საღორეა მოწყობილი, ხოლო  
ეზოში სკოლის შენობის გვერდით მიშენებულია ბოსელი; იფა-  
რის საშუალო სკოლაში არა მოწყობილი საპირფარეშო მასწავლე-  
ბელთათვის, ხოლო მესტიის საშუალო სკოლის საპირფარეშო საერ-  
თოდ არა აქვს.

არადამაყმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე სკოლების დგამ-  
ავეჯით: მერხებით, დაფებით, სკამებით, კარადებით—უზრუნველყო-  
ფის დარგში. ხაიშის საშუალო სკოლაში დაფებად გამოყენებული  
აქვთ უბრალოდ შექედილი შეულებავი ფიცრები, ამ სკოლის მე-6  
კლასში დადგმულ 7 მერხილან არცერთს არა აქვს საზურგე, ხოლო  
4-ს არ გააჩნია უჯრები წიგნების შესანახად. ბერის საშუალო  
სკოლაში დაფებს სიძველისაგან სრულიად გადაცლილი აქვთ ლაქი  
და მათზე ცარცით წერა შეუძლებელია.

სკოლები, თითქმის სანახევროდ, მოუმარაგებელია სახელმძღვანე-  
ლოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით. სკოლის დირე-  
ქტორებს არ უწარმოებიათ ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო-  
ების შეგროვება; ამ გარემოებისათვის არც განათლების განყოფი-  
ლებას მიუქცევია ყურადღება; სკოლები განიცდიან რვეულების  
ნაკლებობას, ამავე დროს რაიონის ცენტრში, წიგნის მაღაზიაში,  
10 ოქტომბრისათვის გაუნაწილებელი ეჭყო 5000 ცალმდე რვეული.

ახალი სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ნივთებით რაი-  
ონის სკოლების მომარაგებას ხელს უშლის ტრანსპორტის უქონ-  
ლობა. 4 ოქტომბრისათვის ხაიშის საშუალო სკოლას დაწყებითი  
კლასის არცერთი სახელმძღვანელო არ ჰქონდა მიღებული; ეცერის  
8 წლიანი სკოლის V კლასში 21 მოსწავლიდან არითმეტიკის ამო-  
ცანათა კრებული მხოლოდ 2 მოსწავლეს ჰქონდა, ხოლო არითმე-  
ტიკის სახელმძღვანელო არც ერთს არ გააჩნდა. მულაბის საშუალო  
სკოლის XI კლასის არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა ასტრონომი-  
ის სახელმძღვანელო და მოსწავლები სარგებლობდნენ მასწავლე-  
ბლის წიგნით, ამავე სკოლის მე-10 კლასში 14 მოსწავლიდან მხო-  
ლოდ 7 მოსწავლეს ჰქონდა ნახმარი სახელმძღვანელო ფიზიკაში.  
ლენჯერის რვაწლიანი სკოლის VIII კლასში 20 მოსწავლიდან ქი-  
მიაში სახელმძღვანელო არ ჰქონდა 17 მოსწავლეს და ა. შ.

ამავე დროს ზოგიერთ სკოლაში მოსწავლებს არა აქვთ, ისეთი  
სახელმძღვანელო წიგნები, რომელიც რაიკავშირის მესტიის მაღაზია-

ში მოიპოვება; მაგ. მესტიის საშუალო სკოლის V კლასის შოთა დავით ლევან დავითის აკლიათ გეოგრაფიის სახელმძღვანელობი, მაშინ, როცა მესტიის რაიონში მაღაზიაში ეს წიგნი გასაყიდად მოიპოვება 200 ცალის რაოდენობით; ლატალის 8-წლიანი სკოლის 1 კლასის მოსწავლებს იყლიათ არითმეტიკის სახელმძღვანელო, მაღაზიაში კი 100 ცალი წიგნია.

სკოლებში არაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტები ფაზიკაში, ქიმიასა და ბუნებისმეტყველებაში. სკოლის ხელმძღვანელები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და მთითოებებს აღნიშნულ დისციპლინების სწავლების საქმეში თვალსაჩინოების გამოყენების ღონისძიებათა შესახებ. ბეჭოს საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ბალანჩივაძე—ფიზიკის მასწავლებელი) შენობა შესაძლებლობას იძლევა, რათა ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტებისათვის გამოყოფილი იყოს ცალკე ოთახი, ამის მიუხედავად სასწავლო კაბინეტების მოწყობილობანი: ხელსაწყოიარალები, პრეპარატები, მოდელები და სხვა, ერთ დიდ საწყობად გამოყენებულ ოთახშია თავმოყრილი და მოუვლელობის გამო ფუჭ-დება.

სკოლათა უმრავლესობას ძალზე მცირე რაოდენობით გააჩნია კლასგარეშე საკითხები წიგნები და სრულიად არ მოეპოვება მასობრივ-პოლიტიკური და მეთოდურ-პედაგოგიური ხასიათის ლიტერატურა.

სკოლის სამუშაო გეგმები არაკონკრეტულია, ისინი წარმოადგენ განათლების სამინისტროს მიერ სკოლის წლიური მუშაობის შესახებ ტიბიური ნიმუშად მიღებული, გეგმის ასლს. მაგალითად, ეცერის და ლატალის 8-წლიანი სკოლის წლიური გეგმით გათვალისწინებულია დეკორატიული ბაღისა, სასპორტო მოედნის და სასკოლო მიწის ნაკვეთის სრულ შესრიგვი მოყვანა, მაშინ როდესაც ამ სკოლებს არა აქვთ არც დეკორატიული ბაღი, არც სასკოლო მიწის ნაკვეთი და არც სასპორტო მოედანი.

ლაბორატორის, ლატალისა და ლენჯერის რვაწლიანი სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგები არ იხილავენ და არ ამტკიცებენ წლიურ კალენდარულ გეგმებს ცალკე სასწავლო დისციპლინებში, ამასთანავე, გეგმების შედგენის დროს მასწავლებელთა ნაწილი არ ხელმძღვანელობს განათლების სამინისტროს პროგრამებით. მაგალითად, ჭუბერის 8-წლიანი სკოლის VI კლასის წლიური კალენდარული გეგმა არ ეთანხმება 1949-50 სასწავლო წლის პროგრამას ბიოლოგიაში, თემა, მცენარეთა ძირითადი ჯგუფები, II მეოთხე-

დიდან I მეოთხედშია გადატანილი, ამავე დროს ქვეთემები არასწორია და არის დალაგებული.

არალამაკმაყოფილებლად არას შედგენილი კლასის ხელმძღვანელი თა გეგმებიც. მაგალითად, ხაიშის საშუალო სკოლის V კლასის ხელმძღვანელის გეგმაში შეტანილია ასეთი პუნქტი: „მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება სისტემატურად“; ლენჯერის 8-წლიანი სკოლის III კლასის ხელმძღვანელს ნაცვლად მეოთხედური გიგმისა შედგენილი აქვს წლიური გეგმა, სადაც I მეოთხედში გათვალისწინებულია საკითხები ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია, II მეოთხედში — ლონისძიებანი წარმატების აღმავლობისათვის, III მეოთხედში მშობლებთან მუშაობა და IV მეოთხედში კლასგარეშე მუშაობა.

ზოგი სკოლის ხელმძღვანელებს სწორად არ ესმით პედაგოგიური საბჭოს მუშაობის შინაარსი და ამოცანები. მაგალითად, ლახამულის რვაწლიან სკოლაში ჩატარებულ პედაგოგიურ საბჭოს ორ სხდომაშე განხილულია ასეთი საკითხები: „საქმის მწარმოებლის არჩევის შესახებ“, „სასკოლო ბიბლიოთეკის გადაბარების შესახებ“, ამავე დროს ისეთი ძირითადი დოკუმენტი, როგორიცაა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანება 1949-50 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ,—არცერთ სკოლას, გარდა ლენჯერის რვაწლიანი სკოლისა, არ განუხილავს. სრულებით არ ექცევა ყურადღება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების გაფორმებას. ოქმები ძალზე სქემატურად იწერება.

გარდა იფარის საშუალო სკოლისა, არც ერთ სკოლაში არ მუშაობენ საკლასო მეთოდური და საგნობრივი კომისიები, არ ტარდება ლია გაკვეთილები.

ზოგიერთი დირექტორი განათლების განყოფილებასთან შეუთანხმებლად არასაპატიო მიზეზით სტოვებს სკოლის. ბექის საშუალო სკოლის დირექტორმა შ. ბალანჩიგაძემ, ა/ჭ. 1/X—დან ერთი თვით შვებულებაში გასვლის წინ, თავისი გაკვეთილები მათემატიკაში და ფიზიკაში IX—XI კლასში არ გადასცა მეორე მასწავლებელს, ამის გამო ამ კლასში 104 აკადემიური საათი გაცდა. ეცერის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვ. ჭანევეტაძე განათლების განყოფილების გამგის ნებართვის გარეშე 2/X-დან 10 დღით წავიდა სკოლიდან პირადი საქმის გამო და V—VIII კლასებში გააცდინა 28 საათი.

დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგები არ ამოწმებენ მასწავლებელთა გაკვეთილებს, რაც პირველყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ ისინი ძალზე გადატვირთულნი არიან გაკვე-

თილებით. ბექოს საშუალო სკოლის დირექტორის კვირეული და-  
ტვირთვა განისაზღვრება 26 საათით, ხოლო იმავე სკოლის მდგრადი  
წავლო ნაწილის გამგისა—23 საათით, მათ არცერთი გაკვეთილი  
არა აქვთ შემოწმებული. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი  
ფარისა და ჭუბერის რვაწლიან სკოლაში.

დამახინჯებებს აქვს ადგილი მასწავლებელთა შორის გაკვეთი-  
ლების განაწილების საქმეში. ეცერის რვაწლიანი სკოლის ისტო-  
რიის მასწავლებელი მ. პაკულიანი (დამთავრებული აქვს სამასწავ-  
ლებლო ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი) ასწავლის ისტო-  
რიას, ბიოლოგიას, გეოგრაფიას, ფიზიკას და ქიმიას; ფარის რვა-  
წლიან სკოლაში ბიოლოგიას ლიტერატური ასწავლის, ხოლო ქი-  
მიას—ისტორიკოსი, ლახამულის რვაწლიან სკოლაში ქიმიას,  
ბიოლოგიას და გეოგრაფიას ასწავლის მესტიის პედ. სასწავლებ-  
ლის კურსდამთავრებული.

მოუწესრიგებელია საკლასო უურნალების წარმოება. მასწავლებ-  
ლები არ აღნიშნავენ უურნალებში დაგვიანება-დაკლების შემ-  
თხვევებს, არ აჯამებენ ყოველკვირეულ გაცდენებს, არ სწერენ  
შეფასების ნიშნებს. ადგილი აქვს წარმატების ნიშნების გადასწო-  
რების ხშირ შემთხვევებს, გაურკვევლად იწერება დამუშავებელი  
მასალის შინაარსი. არასწორად სწარმოებს საკლასო უურნალები-  
დან ცნობების გადატანა სკოლის დღიურში მოსწავლეთა სწრება-  
დობის შესახებ. მრავალ სკოლაში ზოგჯერ სკოლის დღიურის შე-  
სება სრულიად არ სწარმოებს.

არც ერთ სკოლაში არაა მოწესრიგებული მოსწავლეთა პირადი  
საქმეები. როგორც წესი, მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას არა  
აქვს დაბადების მოწმობა, ოთხი კლასისა და რვაკლასის დამთავრე-  
ბის მოწმობები. პირად საქმეებში არაა შეტანილი მეოთხედური  
ნიშნები, პედაგოგიური დახასიათება. ცნობები ჯანმრთელობის შე-  
სახებ და სხვ.

დიდ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ცალკე საგნების სწავლების  
საქმეში.

კერძოდ, მრავალ ნაკლს აქვს ადგილი დედაენისა და ლიტერა-  
ტურის სწავლების საქმეში.

ხშირ შემთხვევაში I კლასის მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი  
მცირეა, მოსწავლეებს არ ესმით ზოგიერთი ცალკეული სიტყვის  
მნიშვნელობა (მაგ. ზეინი, კოზაკი, ზუთხი—ლახამულის 8-წლ.  
სკოლა, მასწ. ნ. კვიციანი; სათითე, უთო და სხვ.—ლატალის 8-წლ.  
სკოლა, მასწ. მ. კვანტიანი); მასწავლებლები ანბანს არ ასწავლიან  
ბერითი ანალიზურ-სინთეზური მეოთხდით, არ იყენებენ თვალსაჩი-

ნოებას. II—IV კლასებში მუშაობა ამოიწურება ლექსებისა და მოთხოვნების მექანიკურად გაზეპირებით (მულახის საშ. სკოლის IV კლასში, მასწ. დ. ჭავლიანი; მეტიის საშ. სკოლის IV კლასში, მასწ. ბ. ფალიანი; ლახამულას 8-წლ. სკოლის III კლასში, მასწ. ნ. კვიციანი და სხვ.). დასახლებული კლასების მოსწავლებს არ შეუძლიათ მოთხოვნების შინაარსის თავიანთი სიტყვებით გადმოცემა.

V—VIII კლასებში გრამატიკას ასწავლიან ზერელად, ცოცხალი სამეტყველო ენისა და ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით, მაგ. ხაშის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. დ. ჭკადუა) მართალია, იყიან გრამატიკიდან ცალკეული საკითხები—მეტველი ზმნები, ორი ფუძის შეერთება, კომპოზიციები, მაგრამ ეს ცოდნა ზერელა, გაუაზრებელია.

ზოგ შემთხვევაში ქართულ ლიტერატურის (V—XI კლასებში) ჯეროვნად ვერ იყენებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღრწევისათვის, ყურადღებას არ აქცივენ ცალკეული ნაწარმოების შინაარსის შეგნებულად შესწავლის საქმეს, ყურადღებას არ ამახვილებენ ნაწარმოების იდეურ მხარეზე. ასე, მაგალითად, ლატალის 8-წლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. მ. გრეგორიანი) ვერ შესძლეს ი. ჭავჭავაძის — „მუშის“ დედააზრის გადმოცემა; მეტყველებდნენ დამახინჯებული ქართული ენით; მულახის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა (მასწ. დ. გუჯაჯიანი) აზრით ნ. ბარათაშვილი პესიმისტი პოეტია. მოსწავლეები არ არიან გარკვეული რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების არსში.

ლენჯერის 8-წლიან სკოლაში სუფთა წერისათვის ცალკე არ არის რევულები შემოლებული, ერთნაირია სუფთა და საკლასო წერების ოემატიკა ლახამულის (მასწ. ნ. კვიციანი) და ჭუბერის 8-წლიანი სკოლების დაწყებით კლასებში. ცწორად არ არის შერჩეული საკლასო-სკოლის ტემათი შერისათვის თემები. არ არის დაცული წერითი მუშაობის დაწყებული ნორმები, მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა დაბალია და ნაწერები უსუფთაოდაა შესრულებული (ლახამულის, ლენჯერის, ჭუბერის 8-წლიან და მულახის საშუალო სკოლები).

ისტორიის სწავლება სკოლების უმეტესობაში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, რაც პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ ისტორიის მასწავლებლები თავისთვის არადამაკმაყოფილებლად მოშაობენ.

ლატალის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს ვ. ხვინთელანს მე-5 კლასის წლიურ კალენდარულ გეგმაში შეუტანია ისეთი მასალა,

(„ფინიკია“ „იუდეა“, „სპარსეთი“), რომელიც უკვე 5 წელია ჩაც ამოღებულია პროგრამიდან. მასწავლებლების უმეტესობა კმაღლებულია მხოლოდ ისტორიული ფაქტების უბრალო თხრობით; არ ახდენს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშორის შედარებას დაპირისპირებას, განხოგადებას და შესაფერი დასკანების გამოტანას; მასწავლებლები არ აწარმოებენ იმის სისტემატურ შემოწმებას, თუ რამდენად მტკიცედ და გააზრებულად აქვთ მოსწავლებს შეთვისებული შესასწავლი მასალა, არ ატარებენ გავლილი მასალის სისტემატურ განმეორებას და სხვ. ამის შედეგად მოსწავლებს გავლილი მასალა საერთოდ ზერელედ, ფორმალურად აქვთ შეთვისებული, ზოგ შემთხვევაში კი ისინი სრულიად ვერ პასუხობენ კურსის ძირითად საკითხებზე. ასე, მაგალითად, მესტიის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი შ. კენჭაძე) ასახელებენ პეტრე პირველის მიერ ჩატარებულ რეფორმებს, მაგრამ სრულიად არ ესმით ამ რეფორმების მნიშვნელობა; ლენჯერის 8-წლიანი სკოლის მე-7 კლასის ზოგიერთი მოსწავლე (მასწავლებელი კ. ხავთანი) გაზეპირებულად ჰქონდა გაკეთილს, — გერმანიაში რეფორმაციის შესახებ, — მაგრამ თუ რა არის რეფორმაცია, ამაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია; მულახის საშუალო სკოლის მე-10 კლასში (მასწავლებელი ვ. ხვისთანი) ორმის „გლეხთა ომი პუგაჩივის ხელმძღვანელობით“ — შესწავლისას რუკა არ გამოუყენებით, თუმცა შესაფერი რუკა იქვე კედელზე იყო გაკრული. მოსწავლეებმა არ იციან სად მდებარეობს ქალაქები: ორენბურგი, ყაზანი, ცარიცინი და სხვ. (მოსწავლეების დიდმა უმრავლესობამ არ იცის, რომ ორენბურგს დღეს ჩააღოვთ, ხოლო ცარიცინს კი სტალინგრადი ეწოდება). ჭუბერის 8 წლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი დ. ცანავა) არ იციან რა არის ფეოდი, ბენეფიციუმი, კომენდაცია. სოფ. ლატალის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. გ. ხვინთელანი) არაფერი იციან პირველი მოგზაურების — გასკო-დე-გამას და მაგელანის შესახებ და სხვ.

ზემო-სეანტის არცერთ რვაწლიან და საშუალო სკოლებში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებები ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. არ ტარდება სადემონსტრაციო ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები; სწავლების გასათვალსაჩინოებლად არ იყენებენ სქემებს, ნახაზებს და პლაკატებს, არ აქციონენ ექსკურსიებს. მოსწავლეებს არ ეძღვევა დავალებად წერითი სამუშაოები — ამოცანების ამოხსნა, სქემების და ნახაზების შედგენა, დაკვირვებათა ცხრილების შედგე-

ნა და სხვ. მასშავლებელთა დიდ უმრავლესობას, გარდა სტაბილუ-  
რი სახელმძღვანელოსი, არ გააჩნია დამსმარე და მეთოდური ხელისა და  
ათის ლიტერატურა, ისინი არ ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლე-  
ბაზე და გავეთილებს მოუმზადებლად ატარებენ. ყოველივე ამის  
შედეგად მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას უჭირს კანონების და  
განსაზღვრების სიტყვიერი ფორმულირება, მოსწავლეები არ არიან  
გარკვეული ფიზიკურ მოვლენათა კანონზომიერებაში, მექანიკურად  
აქვთ გაზეპირებული ფორმულები, არ ესმით ფორმულაში შემავალ  
სიღილეთა ფიზიკური შინაარსი და არ შესწევთ უნარი მიღებული  
თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა.

ხაიშის საშუალო სკოლის მე-9 კლასში (მასშტ. დ. შარვაძე) მოს-  
წავლებებმა ვერ შესძლეს თანაბარაჩქარებული მოძრაობის სიჩქარის  
და გზის ფორმულების გამოყვანა, ისინი არ არიან ნაცარჯიშები  
ამოცანების ამოხსნაზე. მათ ვერ შესძლეს კილომეტრებში გამოსა-  
ხული სიჩქარის გადაყვანა მეტრებში, მარტივი სახის ამოცანის  
ამოხსნას 15—20 წუთი მოანდომეს. ბეჭის საშუალო სკოლის X კლა-  
სის (მასშტ. გ. ჯანელიძე) მოსწავლეებმა ვერ ჩამოაყალიბეს სიტყ-  
ვიერად მსოფლიო მიზიდულობის კანონი, ფორმულაში  $F=k\frac{m_1 m_2}{r^2}$

შემავალ სიღილეთა ფიზიკური შინაარსი ვერ გაარკვიეს. ამავე სკო-  
ლის XI კლასის (მასშტ. შ. ბალანჩივაძე) მოსწავლეები ვერ ანსხავებენ  
ერთმანეთისაგან ძაბვას და დაძაბულობას; ამ კლასში არავითარი  
სახის ცდა არ ჩატარებულა. მესტრის VIII კლასის მოსწავლეები  
სათანადოდ არ არიან ნაცარჯიშები ამოცანების ამოხსნაზე (მასშტ.  
თ. გვარლიანი), დამახინჯებულად ხაზეენ სქემებს, შეცდომით წერენ  
რევულებში კანონებს და ცნებების განმარტებებს. ყინულის ღნო-  
ბის წერტილის განმარტება ერთ-ერთ მოსწავლეს ასე აქვს ჩაწე-  
რილი: „ის წერტილი, რომელთანაც ჩერდება ვერცხლის წყლის  
დონე თერმომეტრში, როდესაც თერმომეტრი მდნობარე ყინულში  
ჩაშვებული 0 ციფრით აღინიშნება, არის ის წერტილი, რომელთა-  
ნაც ჩერდება ვერცხლის წყლი“. ამ სკოლის X კლასში ვერცხრომა  
გამოძახებულმა მოსწავლემ ვერ შესძლო განივი და გასწვრივი რხე-  
ვების წარმოშობის დასურათება სათანადო სქემის შიხედვით. წე-  
რელედ ისწავლება ასტრონომია მულახის საშუალო სკოლის (მასშტ.  
ბ. გაბაძაძე) XI კლასში. ამ კლასის არცერთ მოსწავლეს არა აქვს  
სახელმძღვანელო ასტრონომიაში. მასწავლებელი ირ იყენებს თვალ-  
საჩინოებას და საცბრის დროს ხშირად არაზუსტ გამოთქმებს ხმა-  
რობს. (ცდომილები მოხეტიალე პლანეტებს ეწოდება.. მჩესთან  
უახლოესი ვარსკვლავებია მერკური და ვენერა და ა. შ.). ამ სკო-

ლის VIII კლასში (მასწ. გ. ზურაბიანი.) ახალი მასალა ფიზიკაში —  
დუღილი — მასწავლებელმა 5—6 წუთის განმავლობაში ზეპირს ტემაზე  
ტყვიერად „აუსნა“ კლასს და ზოგი საკითხი არასწორად განმარტა  
(ზიგალითად, მასწავლებელმა აღნიშნა, ნაფტალინს ტანისამოსის  
გასაშენდად ხმარობენო და სხვ.).

ასევე ნაკლებ უურადღებას აქცევს კანონებისა და განსაზღვრების  
სწორად ჩამოყალიბებას მასწავლებელი ბ. გაბადაძე. X კლასის  
მოსწავლეებმა ვერ შეძლეს პარმონიული რხევის ფიზიკური შინა-  
არსის სწორად გადმოცემა და მექანიკურად დასწერეს ფორმულა

$g_1 = - \frac{g}{l} x$ . კუბერის ოვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავ-  
ლებს (მასწ. ს. ვიბლიანი) წარმოდგენა არა აქვთ თერმომეტრის  
აგებულებაზე, მათ განმარტეს, რომ თერმომეტრს 42 მულმივი  
წერტილი აქვს. ამ კლასში ფიზიკაში არც ერთი სახელმძღვანელო  
არ მოიპოვება, თვით მასწავლებელი 1938 წელს გამოცემულ  
ფიზიკის სახელმძღვანელოთი სარგებლობს.

დაბალი მომზადება აქვთ ხაიშის საშუალო სკოლის VI კლასის  
მოსწავლეებს ალგებრაში (მასწ. ნ. ზარანდია). საშინაო დავალებად  
მიცემული სავარჯიშოში, არითმეტიკულ მოცანათა ამოხსნის ზოგად  
ფორმულებზე, ამ კლასში არც-ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა შესრუ-  
ლებული. ბერის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი, ე-  
ნანსყანი, არითმეტიკაში არ ატარებს საკონტროლო წერებს დაწე-  
სებული ნორმის მიხედვით. მოსწავლეთა საქლასო-საშინაო რეუ-  
ლები მოუვლელი და უსუფთაოა. წერელედ არის დამუშავებული შეე-  
რთებათა თეორია ამავე სკოლის XI კლასში (მასწ. შ. ბალანჩივაძე),  
მოსწავლეებმა არ იცოდნენ ძირითადი ცნებების — წყობის, გადა-  
ნაცვლებისა და ჯუფთების განმარტებები; მოსწავლეები თითქმის  
სრულიად არ არიან ნავარჯიშები მაგალითებისა და ამოცანების  
ამოხსნაზე. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ მოახერხა მოცემულ 4 ელე-  
მენტისაგან 3 ელემენტიანი წყობების შედგენა.

მესტიის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გ. მარ-  
გიანი გაცნობილი არაა საგნის პროგრამას, მუშაობს უგეგმოდ,  
რის გამოც ალგებრაში VI კლასში არასაპროგრამო მასალას  
(ფესვის ამოღებას) გადის. საკონტროლო წერით სამუშაოდ მოს-  
წავლებს წინასწარ ამოხსნილ მაგალითებს აძლევს. უგეგმოდ ატა-  
რებს გაკვეთილებს მულაბის საშუალო სკოლის მასწავლებელი ბ.  
გაბადაძე; — XI კლასში ალგებრაში მან მთელი გაკვეთილი ბინო-  
მის განამჭურივის თვისებების გამოკითხვას მოანდომა და ახალი  
მასალის ახსნა ვერ მოახერხა.

არასწორად აქვს დაგეგმილი მუშაობა გეომეტრიაში ლენჯერის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელს (იგივე სამარტინოს ნაწილის გამგე ნიკ. მერლანს). მან 9 ნოემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული მასალა—სამკუთხედის ზუა ხაზის თვისება— თითქმის ერთი თვით აღრე (11 ოქტომბერს) გაიარჩია VIII კლასში. ასევე ნაჩერარევად აქვს დამუშავებული მასალა VI კლასში ალგებრაში, რის გამოც მოსწავლეთა ცოდნა ძლიერ დაბალია. მასწავლებლის მითითებებით VI კლასის მოსწავლეები საკლასო-საშინაო რვეულებში დამახიჯებულად წერენ წესებს და ცალკეული ცნების განვითარებებს, მაგალითად, შეფარდებითი რიცხვების შეკრებაზე წესი ერთ-ერთ მოსწავლეს ასე აქვს ჩაწერილი: „ორი ერთნაირი შეფარდებითი რიცხვები, რომ შევკრიბოთ, მათი აბსოლუტური სიდიდეები შევკრიბოთ და ნიშანი დავწეროთ საერთო“. არ ეცემა ყურადღება მოსწავლეთა საკლასო-საშინაო რვეულების წესიერად წირმოების საქმეს ეცერის რვაწლიან სკოლაში (მასწ. ვ. საბანიძე), V კლასში პრაქტიკულ საგარეჯიშოებს მოსწავლეთა დიდი ნაწილი ნაგლეჯ უზრულებზე უსუფთაოდ წერს და ეს ნამუშევრები, როგორც წესი, მასწავლებლის მიერ არ სწორდება.

რაიონის ზოგიერთი სკოლის ქიმიის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საპროგრამო მასალის შესწავლის პროცესში არ იყენებს ცდასა და თვალსაჩინო სწავლებას, არ ფიქრობს სასწავლო კაბინეტების შევსება-მოწყობასა და გამოყენებაზე, არ იცნობს განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და დირექტივებს ქიმიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, არ ემზადება გაკვეთილებისათვის. მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ქიმიის ელემენტარული საკითხების სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს. მაგალითად, მულაბის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ა. კახიანი) ვერ წერენ ქიმიაში რეაქციათა ტოლობებს, არ იციან მჟავების მიღება და თვისებები, არ უნახავთ ქლორი, კრისტალური იოდი და არა აქვთ წარმოდგენა მათი პრაქტიკულად გამოყენების შესახებ. იმავე სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქიმიური ენა, არა აქვთ გაგებული მენდელეევის პერიოდულ სისტემიდან ელემენტთა კლასიფიკაციის მთავარი საფუძვლები, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ატომთა აგებულობისა და ქიმიურ კავშირთა ტიპებზე; პრაქტიკულად ვერ იცნობენ მეტალთა პიდროვანებს, ვერ ერკევეთან აფოგადოროს კანონსა და გაზების გრამმოლეგულურ მოცულობაში, არ აწარმოებენ ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს და საკონტროლო წერებს ქიმიაში.



მესტიის საშუალო სკოლაში ქიმია ყოფელგვარი ცდებისა  
თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება; XI კლასის მოსწავლეებს (მსწავ-  
ლებელი თ. გვარლიანი) არა აქვთ შეთვისებული გაზების მოლექუ-  
ლური წონის განსაზღვრის წესი; ვერ წერენ ნაერთთა აგებულების  
და ნორმანული ნახშირწყალბადების სტრუქტურულ ფორმულებს,  
ვერ განმარტეს მეავისა და ვალენტიანობის ცნებები, ერთმანეთი-  
საგან ვერ გაარჩიეს იონი, ატომი და მოლექულა. არა აქვთ გაგე-  
ბული სსნარის განხავების გავლენა დისოციაციის ხარისხშე და სხვ.

ეცერის 8-წლიან სკოლაში (მასწავლებელი მ. პაკელიანი) ქიმიის  
სწავლება არ არის დაკავშირებული ცხოვრების პრაქტიკულ საკი-  
თხებთან, არ ტარდება ცდები, მოსწავლეები ზეპირად მსჯელობენ  
ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებზე, ნაერთზე და ნარევზე. ანალო-  
გიურ მდგომარეობას აქვს ადგილი პუბერის, ფარის და ლენჯე-  
რის 8-წლიან სკოლებში.

ბევრ სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლები არ იცნობენ განათ-  
ლების სამინისტროს ბრძანებებს და მითითებებს სკოლაში ბიო-  
ლოგიის სწავლების გარდაქვნის შესახებ მიჩურინული მოძღვრების-  
საფუძველზე, არ აწარმოებენ სასკოლო მიწის ნაკვეთებზე პრაქტი-  
კულ მუშაობას და უშუალო დაკვირვებებს, სკოლაში არა აქვთ მო-  
წყობილი ცოცხალი ბუნების კუთხე, ახდენენ საპროგრამო მასალის  
თვითნებურ გადაჯგუფებას, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, რის  
შედეგადაც მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ელემენტარული საკით-  
ხების უკოდინარობას ამეღავნებს. მაგალითად, ეცერის 8-წლიან  
სკოლაში ბიოლოგიას V—VI კლასებში ასწავლის ისტორიკოსი,  
VII—VIII კლასებში ბიოლოგიას დაწყებითი კლასის მასწავლებელი  
ასწავლის, რომელსაც აქვს საშუალო განათლება; V, VI კლასებში  
ბიოლოგიას ასწავლის გერმანული ენის მასწავლებელი; ჭუბერის  
8-წლიან სკოლაში—ისტორიკოსი, ფარის 8-წლ. სკოლაში—ლიტე-  
რატორი და ლიბამულის 8-წლიან სკოლაში—მესტიის პედსასწავ-  
ლებლის ქურსდამთავრებული.

ხაიშის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლე-  
ბელი ვ. ჭეკაძე) ვერ განმარტეს ანატომიისა და ფიზიოლოგიის  
შესწავლის მნიშვნელობა; მათ არ იციან უჯრედის ნაწილები და  
მათი ფუნქციები, უჯრედის გამრავლების სახეები, ცალკე ქსოვი-  
ლები და მათი დანიშნულება. არ იციან უჯრედის შედგენილობაში  
შემავალი უმთავრესი ქიმიური ელემენტები და ორგანული ნივთი-  
ერებანი; წარმოლგვენა არა აქვთ ძვლის ქიმიურ შედგენილობაზე და  
ძვალთა შეერთების სახეებზე. არ იციან სახსრის აგებულება.

ამავე სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს სუბტრო-  
პიკული მცენარეების აგებულება, ბიოლოგიური თავისებურებანი  
და ამ მცენარეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

ეცერის 8-წლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავ-  
ლებელი შ. პაკელიანი) ზოოლოგის კურსიდან განვლილი მასალის  
სრული უკოდინარობა გამოამდავნეს; მათ ვერ განმარტეს ოვზ-  
თა სხვადასხვა ფორმების შეგუებულობა წყლის გარემოს სხვადასხვა  
პირობებთან, არ იცნობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სარეწ  
ოვებებს და მათი მოპოვების ხერხებს.

ჭუბერის 8-წლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეები (მასწავლე-  
ბელი ფ. ცანავა) ტექნიკურ მცენარეებიდან არ იცნობენ ზაქრის  
ჭარხალს, ბამბას, თამბაქოს, სელს, გერანს და სხვ., არ იციან  
საქართველოს მეცნიერების რაიონები და ვაზის შესანიშნავი ჯი-  
შები, ხილ-კენკროვან მცენარეებიდან არ იცნობენ მიჩურინულ ჯი-  
შებს, საქართველოს მეხილეობის რაიონებს, ვაშლის ძვირფას ჯი-  
შებს, მებოსტრეობის მოწინავეთა მიღწვევებს და სხვ.; გაკვეთილები  
ბიოლოგიაში ტარდება ცდა-დემონსტრაციებისა და ოვალსაჩინოე-  
ბის გამოუყენებლად.

სუსტ ცოდნას ამეღლავნებენ მოსწავლენი ბიოლოგიაში ლატალის  
რეაწლიან სკოლაშიც.

არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი მოსწავლეთა შორის  
აღმზრდელობითი მუშაობა. მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ ასრუ-  
ლებს წესებს: სკოლაში ცხადდება დაგვიანებით, უმიზეზოდ აცდენს  
და თვითნებურად ტოვებს გაკვეთილებს. ასე მაგალითად, ბერის  
საშუალო სკოლის V კლასში 6/IX-ს 29 მოსწავლიდან მეცადინეო-  
ბას დაესწრო 17 მოსწავლე; ლაბამულის რეაწლიან სკოლაში 13/X-ს  
VIII კლასში 4 მოსწავლიდან სკოლაში მხოლოდ ერთი მოსწავლე  
გამოცხადდა: ხაიშის საშუალო სკოლის XI კლასში, სადაც 12  
მოსწავლეა, 3 დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გაცდე-  
ნილია 124 საათი. ამასთან ერთად ადგილი აქვს მოსწავლეთა  
მიერ გაკვეთილებიდან თვითნებურად წასვლას. მესტიის საშუალო  
სკოლის VIII კლასში 8/IX-ს მეოთხე გაკვეთილიდან გაიპარა 3  
მოსწავლე, 6/IX-ს 2 მოსწავლე.

მასწავლებელთა დაბალ მომზადებასთან ერთად, დასახელებული  
ნაკლოვანებების ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ დღემდე  
საგვებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მასწავლებლე-  
ბისა და სკოლების მუშაობაზე კონტროლი ზემოსვანეთის განათლე-  
ბის განყოფილების მხრივ. ზემოსვანეთის განათლების განყოფილება  
დღემდე დაუშვებელი გულგრილობითა და უპასუხისმგებლობით

ეკიდება საქშეს, ურიგდება ამ ნაკლოვანებებს, თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევს სკოლებს და სკოლის იმ მუშაკებსაც სთხოვს პასუხს, რომელთაც მთლიანად ჩაშლილი აქვთ სკოლებში მუშაობა.

არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო საჭიროდ თვლის გატარებული იქნეს ქმედითი ხასიათის ლონისძიებანი.

## I

დაევალოს ზემო-სვანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს და რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს:

ა) შექმნან სკოლებში სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის აუცილებელი პირობები, კერძოდ, უმოკლეს ხანში დაამთავრონ სკოლების სახურავების შეკეთება და ყველა სხვა ისეთი სამუშაოები, რაც ხელს უშლის მეცადინეობის ნორმალურად წარმოებას (ფანჯრებში მინების ჩასმა, კიბეების შეკეთება და სხვ.); უზრუნველყონ სკოლებში შეშის მოზიდვა საკმარისი რაოდენობით და ღუმელების სრულ წესრიგში მოყვანა; შეავსონ სკოლები საჭირო დგამ-ავეჯით და ყველა სკოლაში გააკეთონ საპირფარეშოები;

ბ) მიიღონ ზომები, რათა სკოლები შევსებული იქნეს ფიზიკისა, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, აგრეთვე სხვა საგნების თვალსაჩინოდ სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკური მასალებით, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკები—კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით; ამ დანიშნულებით სკოლების ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები მთლიანად ჩაურიცხონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიდაქტიკურ ხელსაწყოთა განყოფილებას და ბიბკოლეგიტორს.

გ) ზუსტი აღწერის საფუძველზე გამოარკვიონ რამდენად ტარდება ცალკე სკოლების სამოქმედო უბნების მიხედვით საყოველთაო-სავალდებულო სწავლება რვაწლიანი სკოლების ფარგლებში და გაატარონ ყველა საჭირო ლონისძიება, რათა რვაწლიანი სკოლის ასაკის ყველა ბავშვი უკლებლივ იქნეს ჩაბმული სწავლებაში;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო ღონებზე დაყენებას; მასწავლებელთა მუშაობა შეაფასონ არა მარტო იმით, თუ რამდენად იციან მოსწავლეებმა პროგრამით გათვალისწინებული საკითხები, არამედ იმის მიხედვით, თუ ამასთან ერთად, რამდენად სწორად არის გადაწყვეტილი კომუნისტური აღზრდის წინაშე მდგარი ამოცანები;

არსებითად გააუმჯობესონ კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა  
შისცენ შას კონკრეტული ხასიათი; გააძლიერონ მუშაობა „შესახებ  
წავლეთა წესებით“ გათვალისწინებული მოთხოვნილებების დასაცავის  
ნერგად და აღმოფხვრან უდისციპიპლინობა მოსწავლეთა შორის,  
რაც გაკვეთილების უმიზებოდ გაცდენასა და გაკვეთილებზე დაგ-  
ვიანებებში გამოიხატება;

ე) მკაცრად და ზუსტად დაიცევან სკოლების მუშაობის შესახებ  
დაწესებული რეჟიმი, არ დაუშვან სასწავლო მეცადინეობის დაგ-  
ვიანებით დაწყება, გაკვეთილების შემოკლება, მეცადინეობის აღ-  
რე დამთავრება; არსებული შრომითი კანონმდებლობის საფუძველ-  
ზე დაუყოვნებლივ მისცენ პასუხისმგებაში სკოლის ის მუშაკები,  
რომელებიც შრომის დისციპლინას დაარღვევენ—დაიგვიანებენ ან  
უმიზებოდ არ გამოცხადდებიან სამუშაოზე;

ვ) მოაწესრიგონ გეგმიანობისა და აღრიცხვის საქმე, უმოკლეს  
ვადაში შეასწორონ და დააზუსტონ სკოლის წლიური და ნახევარ-  
წლიური მუშაობის გეგმები, მათში გაითვალისწინონ სკოლის  
სინამდვილიდან გამომდინარე კონკრეტული საკითხები; სისტემა-  
ტური კონტროლი დააწესონ საკლასო უურნალების წარმოებაზე  
და უზრუნველყონ უურნალებში სათანადო ცნობების ზუსტად  
და თავის დროზე, სუფთად შეტანა; განსაკუთრებული ყურადღება  
მიიღვიონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშნების დროულად  
და სწორად შეტანას სათანადო უურნალებში და სისტემატურად  
შეამოწმონ მეოთხედური ნიშნების გამოყვანის სისწორე მიმღინარე  
შეფასების ნიშნების საფუძველზე;

ზ) დაუყოვნებლივ მოაწესრიგონ მოსწავლეთა პირადი საქმეები.  
შეიტანონ მათში მეოთხედური, წლიური, საგამოცდო და საბო-  
ლოო ნიშნები, პედაგოგიური საბჭოს დადგენილება, ზეგავლენის  
ლონისძიებანი, პედაგოგიური დახასიათება და ცნობები ჯანმრთე-  
ლობის მდგომარეობის შესახებ; უზრუნველყონ მოსწავლეთა პი-  
რად საქმეში ოუცილებელი დოკუმენტების შენახვა (დაბადების  
მოწმობა, განცხადება სკოლაში ჩარიცხვის შესახებ, IV და VIII  
კლასის დამთავრების მოწმობები და ექიმის ცნობა ჯანმრთელო-  
ბის შესახებ);

ი) შემოიღონ პედაგოგიური საბჭოს ოქმებისათვის დანომრილი,  
ზონარგაყრილი და განათლების განყოფილების მიერ შემოწმე-  
ბული სპეციალური წიგნი. გულდასმით შეიმუშაონ პედ-საბჭოს  
მუშაობის თვემატიკა, მათ სხდომებზე განხილონ სასწავლო აღმ-  
ზრდელობითი საკითხები, კარგად გააფორმონ პედაგოგიური საბ-  
ჭოს სხდომის ოქმები, ოქმებში შეიტანონ, როგორც მოსმვინილი

საკითხების შინაარსი, ისე კამათში გამოსულ პედ-საბჭოს წევრების  
მიერ გამოთქმული აზრი; სისტემატური კონტროლი დააწესო  
პედისაბჭოს დადგენილებების შესრულებაზე.

პედისაბჭოს მუშაობაში ზუსტად იხელმძღვანელონ საქ. სსრ  
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო დებუ-  
ლებით („ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ 1946 წ.  
№ 1);

ფართოდ გაშალონ მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის  
და ამ მიზნით ზუსტად იხელმძღვანელონ საქ. სსრ განათლების  
სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით სკოლაში მეთო-  
დური მუშაობის შესახებ („ბრძანებათა და განკარგულებათა  
კრებული“ № 11—12, 1946 წ., ან იგივე დებულება 1948 წელს  
ცალკე წიგნად გამოცემული);

თ) სისტემატურად შეამოწმონ დაწესებული რაოდენობით მას-  
წავლებელთა გაკვეთილები და გაატარონ საჭირო ონისძიებანი,  
რათა გამოსწორებული იქნეს შემჩნეული ნაკლოვანებანი; გაკვეთი-  
ლებზე დასწრების შედეგები შესაფერისად გააფორმონ და საჭი-  
როების შემთხვევაში განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

## II

ცალკე საგნების სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების  
აღმოფხვრის მიზნით, გატარებული იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაევალოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს:

ა) სუფთა და საკლასო წერებისათვის (I—III კლასებში) შემოი-  
ლონ ცალ-ცალკე რვეულები; კლასებში სუფთა წერისა და საკლასო-  
საკლონტროლო წერების მაღალ დონეზე დასაყინებლად გულდასმით  
შეისწავლონ სუფთა წერის პროგრამა, საქართველოს სსრ განა-  
თლების სამინისტროს „მითითებანი წერითი მუშაობის რაოდენო-  
ბისა და სახეების შესახებ“ და იხელმძღვანელონ ამ მითითებებით  
(იხ. დაწყებითი კლასების პროგრამები: საქართველოს სსრ განათ-  
ლების-სამინისტროს — „მითითებანი წერითი მუშაობის რაოდენო-  
ბისა და სახეების შესახებ“, გაზ. „სახალხო განათლების“ გამოცემა,  
1948 წ. იგივე მითითებანი საქართველოს სსრ განათლების სამი-  
ნისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული, 1948 წ.  
№ 2—3);

ბ) 6. კვიციანი (ლახამულის 8-წლიანი სკოლა) და მ. კვანჭიანი  
(ლატალის 8-წლიანი სკოლა) დაეუფლონ ანბანის სწავლების მე-  
თოდიკას; გაკვეთილებზე სისტემატურად გამოიყენონ მოძრავი  
ანბანი და სხვა სახის თვალსაჩინოება;

გ) 6. კვანციანმა (I და III კლასში), მ. კვანციანმა (I კლასში), ბ. ფალიანმა (მესტიის საშუალო სკოლის IV კლასში), დ. ჭავჭალიანმა (მურაბის საშ. სკოლის IV კლასში) აამაღლონ მოსწავლეთა ქადაგის ენის კურსის დაუფლების მხრივ ჩამორჩენა;

დ) V—XI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა დ. ჭავჭალი (ხაიშის საშუალო სკოლა), მ. გირგვლიანმა ლატალის 8-წლ. სკოლა), მ. ფილფანმა, დ. მერლანმა (ლახაძულის 8 წლ. სკოლა), დ. გუჯეჯიანმა (ბექოს საშუალო სკოლის X კლასში) უმოქლეს დროში გამოსაწორონ ხსნებულ საგანთა სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი და მიიღონ ზომები მოსწავლეთა თვითგანვითარების დონის ასამაღლებლად კლასგარეშე კითხვის მაღალ დონეზე დაყენებით.

## 2. დაევალოს სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებს:

ა) შინაარსიანად და ღრმად გააშუქონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები გაქვეთილზე, სწორად იხსნან ისტორიული ფაქტები და მოვლენები და მოსწავლენი არამარტო დააუფლონ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ შეაჩეიონ ისინი ამ ფაქტებისა და მოვლენების სწორსა და საფუძვლიან ანალიზს; გაქვეთილების ახსნის პროცესში ფართოდ გამოიყენონ რუკა და სხვა სახის თვალსაჩინოება.

ბ) ისტორიული მასალა ფართოდ გამოიყენონ მოსწავლეებში პატრიოტიზმისა და საბჭოთა ეროვნული სიამაყის სულისკეთების აღსაზრდელად; განსაკუთრებით უფროს კლასებში სისტემატურად მიმართონ ისტორიული და თანადროული ფაქტების ისეთ ურთიერთდაკავშირებას, რაც ნამდვილად უწყობს ხელს როგორც ისტორიული მასალის, ასევე თანადროული ცხოვრების ღრმად გაგებას;

გ) გავლილი მასალის გამეორება აწარმოონ არამარტო გამეორების სპეციალურ გაკვეთილებზე, წლის ბოლოს, არამედ ისტორიის ყოველ გაკვეთილზე; წინასწარ მოიფიქრონ და შეარჩიონ გასამეორებელი მასალა, განმეორებისას მიზნად დაისახონ მიღებული ცოდნის განმტკიცება, გაღრმავება, განზოგადება და შესწავლილი მასალის სისტემაზი მოყვანა, მოსწავლეებს მისცენ გავლილი მასალიდან ისეთი კითხვები, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან გაკვეთილის ძირითად საკითხებთან;

დ) ჩამოიყალიბონ ისტორიის წრები, მოფიქრებულად შეარჩიონ სათანადო თემები წრისათვის, წრეში მუშაობას მისცენ სისტემატური ხასიათი და წრის მუშაობა წარმართონ ისე, რომ იგი ნამდვილად უწყობდეს ხელს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას, მათ საერთო განვითარებისა და იდეურ-პოლიტიკურ აზლრდას.

### 3. დაევალოს მათემათიკის მასწავლებლებს:

ა) გააძლიერონ კონტროლი საშინაო დავალებების შესრულებაზე  
წინასწარ ამოხსნან და შეამოწმონ გაკვეთილზე გადასაცემად გათვალისწინებული და საშინაო დაევალებად მისაცემი ამოცანები  
და მაგალითები და მოითხოვონ მოსწავლეებისაგან მათემათიკური  
დებულებების, წესების, განსაზღვრების და თეორემების ზუსტი მათემათიკური ენით გადმოცემა;

ბ) საკონტროლო წერები ზუსტად ჩატარონ განათლების სამინისტროს მითითებების შესაბამისად, არ დაუშვან საწერ თემებად მოსწავლეთათვის უკვე ცნობილი ამოცანებისა და მაგალითების მიცემა,  
წერითი ნამუშევრები გაასწორონ გულდასმით და ავარჯიშონ მოსწავლეები დაშვებული შეცდომების გასწორებაზე;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ I—IV და V—VI კლასებში არითმეტიკაში ზეპირ ანგარიშს, გააძლიერონ ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე, ამოცანების ამოხსნის დროს ისარგებლონ როგორც ანალიზით, ისევე სინთეზით.

გაკვეთილების უხილისხოდ და მოუმშადებლად ჩატარებისათვის იყენეს გაფრთხილება მათემათიკის მასწავლებლებს: ნ. ზარანდიას (ხაშის საშ. სკოლა), ე. ნანსყანს (ბეჩის საშ. სკოლა), გ. მარგიანს (მესტიის საშ. სკოლა), ბ. გაბადაძეს (მულახის საშ. სკოლა), ნ. მერლანს (ლენჯერის რვაწლიანი სკოლა) და ვ. საბანიძეს (ეცერის რვაწლიანი სკოლა), დაევალოს მათ ფართოდ ისარგებლონ სათანადო მეთოდური მითითებებით, დამხმარე ლიტერატურით და ყოველი გაკვეთილისათვის საფუძვლიანი მომზადებით უმოკლეს ვადაში აღმოფხერან მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

დაევალოს საბუნებისმეტყველო დისციპლინების—ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებს:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ და ზუსტად იხელმძღვანელონ მუშაობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 476, № 505 (იბ. 1947 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 4) 1948 წლის № 3330, № 3331 (იბ. 1948 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 11—12), № 3661 (იბ. 1949 წლის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 1) ბრძანებებით, მითითებებით ლაბორანტის მუშაობის შესახებ (იბ. 1948 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული „№ 5-6), სადირექტოვო წერილით ბიოლოგიის სწავლების გარდაქმნის შესახებ მიჩურინული მოძღვრების საფუძველზე (იბ. 1948 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 11-12) და

ინსტრუქციით სასკოლო ნაქვეთზე შეშაობის შესახებ (იხ. 1949 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 1).

ბ) არადამაყმაყოფილებელი მუშაობისათვის, რის შედეგად ცემოს წავლეთა ცოდნა ფიზიკაში ძალზე დაბალია, მიეთითოს ფიზიკის მასწავლებლებს:

ა) გ. ჯანელიძეს (ბექოს საშ. სკოლა), შ. ბალანჩივაძეს (ბექოს საშ. სკოლა), თ. გვარლიანს (მესტიის საშ. სკოლა), ს. ფალიანს (მესტიის საშ. სკოლა), ს. ვიბლიანს (ჭუბერის რვაწლიანი სკოლა) და ევალოს უმოქლეს დროში აღმოფხვრან მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და თვალსაჩინოების მაქსიმალური გამოყენებით მიაღწიონ სათანადო წარმატებებს ფიზიკის სწავლების საქმეში.

### III

ზემოსვანეთის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) გაძლიეროს სკოლებზე ოპერატიული კონტროლი და ხელმძღვანელობა, ყოველმხრივ შეისწავლოს ცალკეული სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა, აღგილტვევა გაუწიოს მათ დახმარება არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების საქმეში და ის მუშაკები, რომლებიც ვერ გაძიასწორებენ ჩამორჩენას მჯაცრად დასაჯონ;

ბ) დაუყოვნებლივ დააყენოს საკითხი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ზემო-სვანეთის რაიონის აღმასკომის წინაშე და რაიონის საფინანსო განყოფილებასთან ერთად ჩაატაროს ფინანსიური რევიზია 1949 წელს სკოლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტებზე გაწეული ფულადი სახსრების ხარჯვაზე;

გ) არ დაუშვას სკოლებში გაკვეთილების გაცდენის არც ერთი შემთხვევა, და კატეგორიულად აღკვეთოს სკოლის დირექტორების სასწავლო ნაწილის გამგეების და მასწავლებლების მიერ განათლების განყოფილების ნებადაურთველად სხვადასხვა მიზეზებით მოკლევადიან შეებულებებში გასვლის პრაქტიკა.

დ) უზრუნველყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ წერილის განხილვა რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და სისტემატური კონტროლი დააწესოს წერილში დასახული ღონისძიებების განხორციელებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/ჭ. 15 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე გ. ბუჩქულაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3978

სარაითვილოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1949 წლის 28 ნოემბერი

კაზროთის რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კაჭრეთისა და კა-  
 კაბეთის საშუალო სკოლებში და ქვემო ყანდაურის რვაწლიან სკო-  
 ლაში სასწავლო სააღმზრდელო მუშაობისათვის გასულ წლებთან  
 შედარებით უკეთესი პირობებია შექმნილი. სასკოლო შენობები  
 კარგად არის შეკეთებული, სკოლები ძირითადად უზრუნველყოფი-  
 ლია დგამ-ავეჯით, მოსწავლეები უკეთესად არის მომარაგებული  
 სახელმძღვანელოებით, რვეულებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.  
 ყანდაურის რვაწლიან სკოლაში არის ქიმია-ფიზიკისა და ბუნე-  
 ბისმეტყველების კაბინეტები, რომლებიც კარგად არის მომარაგე-  
 ბული საჭირო რეაქტივებითა და ხელსაწყოებით. კაბინეტებს ემ-  
 ჩნევა მასწავლებელთა მზრუნველი ხელი.

შესწავლილი სკოლების კლასებში, კაბინეტებში, დერეფნებსა და  
 ეზოებში სანიმუშო სისუფთავეა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენაც  
 დამაკმაყოფილებელია.

სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია პედაგოგიური კადრე-  
 ბით, სკოლები უზრუნველყოფილია იგრძელებენ სასწავლო პროგრამე-  
 ბით. სკოლებში მუშაობა მიმდინარეობს გეგმიანად, სამინისტროს  
 მიერ დაშვებული მითითებების საფუხველზე. სკოლის დირექტორებს  
 და ცალკეულ მასწავლებლებს აქვთ სამუშაო კალენდარული გეგმე-  
 ბი. მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი იდგენს აგრძოვე გაკვეთი-  
 ლის გეგმებსაც.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება უკეთ არის დაყე-  
 ბული ქვ. ყანდაურის რვაწლიანი სკოლის უფროს კლასებში:  
 (მასწავლებლები პეტრიაშვილი და აზდაროვა). მასწ. პეტრიაშვი-  
 ლის მიერ გაკვეთილი VII კლასში კარგად იქნა ჩატარებული  
 მასწავლებელმა გულდასმით შეამოწმა საშინაო დავალება („სინ-  
 ტაქსური წყვილფბი“), კლასმა საკითხის კარგი ცოდნა გამოამუდა-  
 ვ.

ნა. დიდი ყურადღება ექცევა წინადადების სინტაქსურ-მორფოლოგიურ გარჩევასა და მასთან დაკავშირებით მოხერხებულად წაომონებს მოსწავლეების მიერ გავლილი მასალის გამორება. მოსწავლეებში შეენებულად იციან გრამატიკული მასალა. მასწავლებელი მოსწავლეებისაგან მოითხოვს სრულ, გაშლილ პასუხს, ყურადღებას აქცევს ენის სისწორეს. მუშაობაში ჩაბმული ჰყავს მთელი კლასი. ასევე კარგად მუშაობს ამავე სკოლის მასწ. აზდაროვა. მის მოსწავლეებსაც (VII კლასი) საქმაოდ მტკიცე ცოდნა გააჩნიათ.

რუსული ენის სწავლების საქმეში დამაკმაყოფილებელი მდგრადარეობაა კაკაბეთის საშ. სკოლის IV კლ. (მასწ. გ. შაროვი) და V კლასებში (მასწ. თ. ექვთიმიშვილი). მათ კლასების მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი სწორად კითხულობს ტექსტს და დასმულ კითხვებზეც დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა. კარგად არიან აგრეთვე მომზადებული კაჭრეთის საშუალო სკოლის III კლ. მოსწავლეები (მასწ. ელ. საბაშვილი). ისინი დიდი ხალისით მუშაობენ რუსული ენის გაკვეთილზე და მოხდენილად იყენებენ შეძენილ სიტყვებს ახალი წინადადების შესაღენად. ასეთივე მდგომარეობაა ამ სკოლის V და XI კლასებში (მასწ. ს. გუკასოვი), XI კლასის მოსწავლეები საფუძვლიანად არიან დაუფლებული საგანს და გრამატიკულ კატეგორიებშიც კარგად ერკვევიან.

